# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 183 (6041)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ედუარდ შევარდნაძე:



სოხუმი. 1993 წელი

სანამ ცხინვალში შევიდოდით და რუსები საქართველოს ტერიტორიებს დაიკავებდნენ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა საკმაოდ გარკვეული იყო. ვთქვი და გავიმეორებ, ბევრმა აფხაზმა და ოსმა დაიჯერა, რომ ჩვენ კონფლიქტების მოგვარება მშვიდობიანად გვსურდა. ბოლო ომი რომ არ დაწყებულიყო, ალბათ, კიდევ რამდენიმე წელი იყო საჭირო და კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდებოდა.



გორი. 2008 წელი

## რუსი ოფიცრის სკანდალური ალიარება



2

## „ყაზტრანსგაზმა“ მეწარმეებს ყელში კიდევ ერთხელ წაუჭირა

4

## ვინ არის ბატ. დ. პაიჭაძე, ჟურნალისტთა „დამბალანსებელი“ თუ მესაფლავე?

4

## ქვეყნისთვის სასარგებლო სიახლეები მაგანთა უპასუხისმგებლობას არ უნდა ეწირებოდეს!



5

## ვულოცავთ



### ჯანსუღ ჩარკვიანი – 77

მე მცივანა ქართველების
ნაზადი ვარ,
ეს ცხოვრება მართლა არის,
თურმე, მწარე,
მე არავის დაძახილზე
არ დავდივარ,
მე ვეკუთვნი –
უწმინდესს და უნეტარესს!

9

### რობერტ სტურუა – 70

„ხალხი დათრგუნულია, ცუდია, როცა ადამიანი იმედს კარგავს და მინდა, რომ ვანუგეშო. პრემიერა ნოემბერში შედგება“

11



ინფორმაცია

## ევროკავშირის დამკვირვებლები ქართულ პოლიციასთან ერთად იმოქმედებენ

**შინაგან საქმეთა სამინისტრო ევროკავშირის დამკვირვებლებთან ერთად კონფლიქტურ რეგიონებში კოორდინირებულად იმუშავებს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა.**



როგორც მერაბიშვილმა აღნიშნა, დამკვირვებლები აღნიშნულ რეგიონებში ვითარებას დააკვირდებიან და იმ დარღვევებს აღნუსხავენ, რომელიც რუსული მხარის მიერ ხორციელდება.

რაც შეეხება ქართულ პოლიციას, მერაბიშვილის განცხადებით, ისინი დამკვირვებლებთან კოორდინირებულად იმუშავებენ, თუმცა საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებაზე კვლავ ქართული პოლიცია იზრუნებს, ვინაიდან დამკვირვებლების მანდატში ეს არ შედის.

## გამომსვლელები ან წინააღმდეგნი იყვნენ, ან თავი შეიკავეს

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ მხარი არ დაუჭირა პარლამენტარების ჯგუფის ინიციატივას, ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთის დელეგაციისთვის უფლებამოსილება ჩამოერთმიათ.**

— ბიუროს სხდომის არც ერთ მონაწილეს ამ წინადადებისთვის მხარი არ დაუჭერია. ყველა გამომსვლელი ან ამის წინააღმდეგი იყო, ან ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა, — განაცხადა საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე კოსაჩოვმა.

რუსეთის დელეგაციისთვის უფლებამოსილებების, ანუ ხმის უფლების ჩამორთმევა საპარლამენტო ასამბლეის ხუთივე პოლიტიკური ჯგუფის 24-მა წევრმა მოითხოვა.

## ბესელია სააკაშვილის განცხადებებს სკეპტიკურად უყურებს

**მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის ლიდერმა ეკა ბესელიამ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა, რეფორმების ახალი ტალღის დაწყების შესახებ, სპეციალურ პრესკონფერენციაზე შეაფასა.**

როგორც ეკა ბესელიამ განაცხადა, სააკაშვილის ინიციატივის შეფასება პარტიის ერთი წლის თავს სპეციალურად დაამთხვია, ვინაიდან ამ პარტიასთან დაკავშირებით ხელისუფლების რეპრესიები არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს.

მანვე აღნიშნა, რომ სკეპტიკურად უყურებს სააკაშვილის განცხადებას საკუთრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. ბესელიას თქმით, საკუთრების ხელყოფის მაგალითი, მათი ოფისის ისტორიაა.

— ჩვენ ოფისით სარგებლობის უფლებას უკანონოდ არ გვაძლევდნენ. ერთი წელი შსს-ს თანამშრომლები იყვნენ ამ ოფისში. ახლა საზარელი სიტუაციაა, როდესაც 70-მდე დევნილი გვყავს ამ ოფისში შემოსახლებული და მათ დაბრუნებას პირი არ უჩანს, — დასძინა ბესელიამ და საკუთრების ხელყოფის სხვა ფაქტებიც დაასახელა.

## სოხუმთან „იზაბელი“ ჩაიძირა

**სოხუმის უბეში თურქული ტვირთმზიდი „იზაბელ-2“ ჩაიძირა. როგორც იუწყებიან, შემთხვევა შტორმმა გამოიწვია.**

გემის ეკიპაჟის ათივე წევრი აფხაზმა მეზღვაურებმა გადაარჩინეს.

**ინტერპრესნიუსი**

ვარაუდი

**პოლიტიკა რომ ჩახლართული რამ არის, მკითხველს უკვე მოეხსენება. ვერ გაიგებ, ვინ ვის საიდან უთხრის ძირს. ყველა გამონათხარის უკან, როგორც წესი, ქალი დგას. ამიტომ ამბობენ ხოლმე: „ეძებეთ ქალი!“**

როგორც ამას წინათ ცნობილი გახდა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ნდობადაკარგულ ხელისუფლებას, რომ ჟენევის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი, გამოცდილი და სანდო დიპლომატი, რომელიც ამასთანავე ბრწყინვალედ ფლობს ფრანგულ ენას, რაც ევროპაში კარგ ტონად ითვლება. არა, ინგლისურიც გადის, თუ ჩვენი „დიპლომატებივით“ არ ჯიყჯიყებენ, მაგრამ ფრანგულს, თანაც უაქცენტოს, მაინც სხვა ეშხი აქვს. ჰოდა, ვიღაც-ვიღაცებს ჩანს არ ეამათ საზოგადოების ასეთი აქტივობა, განსაკუთრებით ნამდვილი ოპოზიციონერი ქალისათვის ჯეროვანი ნდობის გამოცხადება და რეიტინგის აწევა, რაც სულაც არ ესადაგება ახლახან საეჭვოდ „გაოპოზიციონერებული“ ქალბატონის გეგმებს თუ სცენარს (ქალი რომ ქალს ვერ იტანს, მით უფრო თავისზე სიმპათიურს, ადრეც ვიხილეთ!ძ.

## „ეძებეთ ქალი!“



ამ ქალურ ინტრიგებთან რა კავშირში უნდა იყოს ქალბატონის პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემული ინტერვიუ, მაგრამ რესპონდენტის ერთი ფრაზა უცნაურად უშვებს წყალს იმ საეჭვო ქალბატონის წისქვილზე.

ინტერვიუერის უწყინარ კითხვაზე „იქნებიან თუ არა იქ მიწვეული ქართველი ექსპერტები... თუ იქნებიან, სავარაუდოდ ვინ?“, — ბ-ნმა სოსომ, რასაც არ ეკითხებოდნენ, ის უპასუხა: „ქართველებიდან თუ ვინმე იქნება, ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, რომ ჟენევის შეხვედრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ლევან ალექსიძემ და არა სალომე ზურაბიშვილმა, რომელსაც დიპლომატიაში არაფერი გაეგება. როცა გვყავს ლევან ალექსიძე, რომელიც 6 წელი ნიუ-იორკში და 5 წელი ჟენევაში მუშაობდა, საძებარი არავინ გვყავს. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ჟენევაში ქართველ ექსპერტებს ბევრს არაფერს შეეკითხებიან“ (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“№182,27.09.2008ძ.

პოლიტოლოგს, მით უმეტეს ასეთ ცნობილს, უფლებას ვინ წაართმევს, ჰქონდეს თავისი აზრი იმაზე, თუ ვინ წავიდეს ჟენევაში, მაგრამ ინტერვიუერი ამას არ ეკითხებოდა. ამ საკითხს, როგორც ყველაფერს, სააკაშვილი წყვეტს. აქ უბრალოდ ის არის საკითხავი, ვინ იდგა რესპონდენტის უკან, რომ ბ-ნი სოსოსთვის ასეთი უჩვეულო გაწიწმატებული „პასუხი“ გაეცა სახტად დარჩენილი ინტერვიუერისათვის? გაწიწმატება საერთოდ ქალის საქმეა და ეს გვაფიქრებინებს, რომ სულაც იმ ქალბატონმა ხომ არ ჩაართვევინა ბ-ნი რესპონდენტის დაუკითხავად, ის ყბადაღებული ფრაზა? სხვაგვარად წარმოუდგენელია, ჩვეულებრივ ტაქტიანი და ლოგიკური პოლიტოლოგისაგან ასეთი უტაქტო და ულოგიკო „პასუხი“.

მაგალითად, ვინ დაიჯერებს, რომ ბ-ნ სოსოს, თავისი ინიციატივით, უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა მისთვის ისეთი ძვირფასი პიროვნება, როგორიც ლევან ალექსიძეა?

ბ-ნი ლევანი რომ ღირსეული ადამიანია, ამაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ რა შუაშია აქ იგი? მას ხომ არ აგზავნიან ჟენევაში და ქ-ნი სალომე ხომ არ ეცილება მას ამაში?! პირიქით, საკითხი ეხება ქ-ნი სალომეს იქ გაგზავნას, უფრო სწორად, საზოგადოების მოთხოვნას, რომ, სააკაშვილის საიდანღაც გამოჩხრეკილი კანდიდატის ნაცვლად, მართლა დიპლომატი და სამშობლოზე მართლა გულშემატკივარი პიროვნება გაიგზავნოს ჟენევაში. და ბ-ნი ლევანის ღირსების იმედი მაქვს, იგი, ქ-ნი სალომეს კონკურენტიც რომ იყოს, არ იკადრებს წინ აღუდგეს საზოგადოების სურვილს. ბ-ნი სოსოსთვის დამახასიათებელ ლოგიკას მოკლებულია აგრეთვე ის „არგუმენტი“, რომ ლევან ალექსიძე (ბოდიშს ვუხდი მას, მისი სახელის უნებლიეთ წალმა-უკულმა ტრიალისთვისძ „6 წელი ნიუ-იორკში და 5 წელი ჟენევაში მუშაობდა“. არა, ჩვენ ამაში არ ვედავებით ბ-ნ სოსოს. არც იმაში, რა გააკეთა ბ-ნმა ლევანმა ამ მუშაობით (სხვები რას აკეთებენ, თავიანთი ოჯახების ფეხზე დაყენების გარდა. როგორც ვიცი იქ უზომოდ მაღალი ხელფასებია!ძ. ჩვენ ის გვაინტერესებს, რანაირად ადასტურებს ყოველივე ეს იმას, რომ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს არსად უმუშავია და „დიპლომატიაში არაფერი გაეგება“?!

ერთ რამეში კი განსაკუთრებით „ლოგიკურია“ ბ-ნი სოსო თუ მის უკან მდგომი პირი: თუ, როგორც „იგი“ ფიქრობს, „ჟენევაში ქართველ ექსპერტებს ბევრს არაფერს შეეკითხებიან“, მაშინ საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს იმაზე გაწიწმატებას, თუ ვინ წავა ჟენევაში?! თუ ასეა, მართლა აზრი არ ჰქონია იქ სალომე ზურაბიშვილის წასვლას! მაგრამ რაღატომ „აგზავნის“ ის იქ ლევან ალექსიძეს?!

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე.

თვითმხილველი და მონაწილე

# რუსი ოფიცრის სკანდალური აღიარება

**რუსეთის სამხედრო საზღვაო ქვეითი ძალების ერთ-ერთი სადესანტო დანაყოფის ოფიცერმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, სააგენტო „რია ნოვოსტის“ ფოთის პორტში მყოფი ქართული სამხედრო ხომალდების დანაღმვისა და აფეთქების დეტალები „გაუმხილა“ და ისიც დასძინა, რომ ის, ამ აქციის ერთ-ერთი მონაწილეა.**

სააგენტო „რია ნოვოსტის“ ჟურნალისტი მას სევასტოპოლში გაესაუბრა, სადაც რუსი ოფიცერი 26 სექტემბერს, საქართველოს საზღვაო სანაპიროებთან რეიდზე მყოფი ორი სადესანტო ხომალდიდან „იამალი“ და „სარატოვიდან“ ერთ-ერთით დაბრუნდა.

ოფიცერმა განაცხადა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ძალების სპეციალურმა ქვედანაყოფებმა ფოთის პორტში, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ხომალდები გაანადგურეს.

— შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ძალების სპეციალურმა დანაყოფებმა, რომელთა შემადგენლობაშიც დივერსიის ალმკვეთი რაზმები შედიოდნენ, ფოთის პორტში მყოფი სამხედრო დანიშნულების მქონე ყველა კატერი და ხომალდი დანაღმეს. ასეთი ხომალდების რაოდენობა 10 იყო, — განაცხადა ოფიცერმა, რომლის ვინაობასაც სააგენტო არ ასახელებს.

მან კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ ფოთის პორტი და იქ მყოფი ქართული გემები რუსულმა ავიაციამ გაანადგურა.

— ფოთის საჰაერო დაბომბვები არ ყოფილა. 12 აგვისტოს როდესაც ჩვენ ფოთში შევედით, დაცარიელებულ პორტში არაფერი არ იყო დაზიანებული, — განმარტა მან.



მისი განცხადებით, პორტში ორი დიდი სადესანტო გემი „იამალი“ და „სარატოვი“ შევიდა, საბრძოლო მორიგეობა კი, ხომალდ „სუზდალეცს“ დაევალა.

დესანტის გადასხმისას, ჩვენმა მეზღვაურებმა ხომალდი სანაპირო წყალმომარაგების სისტემას თავადვე მიუერთეს. ამავდროულად, სპეცდანიშნულების დანაყოფმა სანაპიროზე მდგარი ქართული სამხედრო ხომალდები შეამოწმა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ისინი დანაღმულები არ იყვნენ.

— დარწმუნდნენ რა, რომ ნაღმები არ იყო, რუსმა მედესანტეებმა პორტში მყოფი ყველა ქართული ხომალდი დანაღმეს და ააფეთქეს, — განაცხადა რუსმა ოფიცერმა.

მისი თქმით, ფოთის პორტში ჩასულ გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმერ შამანოვს, რომელიც მათ წარუდგა, როგორც აფხაზეთში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, ხომალდ „სარატოვის“ მეთაურმა პატაკი ჩააბარა. ამის შემდეგ სარდალი წავიდა, ხოლო ხომალდებთან დაახლოებით 150 ადგილობრივი მცხოვრები მივიდა, რომელთაც ღვინო მოიტანეს, მაგრამ მეთაურმა მისი მიღება აგვიკრძალა, — განაცხადა წყარომ და დასძინა, რომ დიდმა სადესანტო ხომალდებმა, პორტში დაკავებული ალაფის უმეტესობიდან გასაბერი ნავები წაიღეს, რომელზეც 30 ადამიანი ეტევა

13 აგვისტოს რუსეთის ხომალდები გამოვიდნენ ფოთის პორტიდან და რუსი „სამშვიდობოების“ ფოთიდან გასვლამდე ამ აკვატორიაში რეიდზე იდგნენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

სასამართლო

## მოსამართლეები... უვადოდ

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეების ის კანდიდატები წარადგინა, რომლებიც რეფორმების ახალი ტალღის პირობებში მოსამართლეებად უვადოდ პირველად დაინიშნებიან.**



**როგორც კუბლაშვილმა პრესასთან განაცხადა, ცხრათვიანი თეორიული სწავლების შემდეგ 11 მოსამართლეობის კანდიდატი გამოცდას ჩააბარებს და შემდეგ სწავლების პრაქტიკულ კურსზე გადავლენ.**

**მისივე თქმით, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 14-თვიანი კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო 11 კანდიდატს მოსამართლეებად უვადოდ დანიშნავს კონკურსის გზით.**

**ინტერპრესნიუსი**

ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ

*ის, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არაერთხელ დაუდანაშაულებიათ აფხაზეთის დაკარგვაში, სიახლე არავისთვის არ არის. სოხუმის დაცემის მე-15 წლისთავზე აფხაზეთის თემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმის გამოც იძენს, რომ „მიუკერძოებელმა შუამავალმა რუსეთმა“ 15 წელზე მეტი ვეღარ მოითმინა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა პირველმა აღიარა.*

*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნაპო მესხიამ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში „მწარე სიმართლე – დაუფარავად! დაგვიანებული წერილი საქართველოს მეორე პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ანუ გულახდილი საუბარი იმაზე, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, ექსპრეზიდენტი შევარდნაძე „ქვეყნისათვის საზიანოდ დაშვებულ საბედისწერო შეცდომებში“ დაადანაშაულა და „საჯაროდ, ყველას გასაგონად ჩადენილი ცოდვების მონანიებისკენ“ მოუწოდა.*

*თავის წერილში მესხია აფხაზეთში ომამდე, საომარი მოქმედებებისა და ომის შემდგომ განვითარებულ არაერთ ეპიზოდს იხსენებს და ექსპრეზიდენტ შევარდნაძისგან არაერთ კითხვაზე პასუხის გაცემას მოითხოვს.*

*ნაპო მესხიას წერილზე საქართველოს მოსახლეობა და განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება ბევრს იმსჯელებს. ჩვენც შევეცადეთ წერილში დასმულ უმთავრეს კითხვებზე პასუხი, თავად ედუარდ შევარდნაძისაგან მიგვეღო.*

არც პარლამენტი იყო, მე არც სახელმწიფოს მეთაური ვიყავი და არც პრეზიდენტი, იყო სახელმწიფო საბჭო.

სოჭი-სოხუმის რკინიგზის მონაკვეთზე შემადგენლობები იძარცვებოდა, თანხაც მახსოვს, ზარალმა 12 მილიარდი რუსული რუბლი შეადგინა. ასე გაგრძელება რომ არ შეიძლებოდა, ცხადი იყო. საქართველო იძულებული იქნებოდა აენაზღაურებინა ზარალი. მაშინ მთავარსარდალი არ ვიყავი, ვიყავი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს სხდომაზე გამოვედი და ვთქვი, რომ ეს ისეთი ორგანიზებული და მძიმე დანაშაულია, რომ ამას მილიცია ვერ მოერევა, ამიტომ საჭიროა ჯარის შეყვანა და ჯარს უნდა ჰქონდეს მხოლოდ მატარებლების გაცილების უფლე-

ნო საუბარი მქონდა ვლადისლავ არძინბასთან. მან მითხრა, ყველაფერი გავიგე, თანახმა ვარ, მაგრამ დეტალების გასარკვევად ვინმე ჩამოვიდეს და ამიხსნასო. მეორე დღეს სოხუმში გაემგზავრა ბატონი სიგუა, მაგრამ არძინბა ვერ იპოვა და ვერ დაელაპარაკა. ორი თუ სამი დღის შემდეგ კიტოვანი ახალციხეში რუსების მიერ მიღებული ტანკებით და ზარბაზნებით აფხაზეთისკენ დაიძრა და სოხუმს მიადგა. მაშინ მე დავურეკე და კატეგორიულად ავუკრძალე სოხუმში შესვლა. გაფრთხილების მიუხედავად, კიტოვანი სოხუმში მაინც შევიდა და ჩემს სატელეფონო ზარებს არ უპასუხებდა.

ჩემი დანაშაული ის არის, რომ როცა კიტოვანი გაჯიუტდა და სოხუმში შევიდა, ალბათ, სო-

**მესხია თავის წერილში აცხადებს, რომ თქვენ არძინბასთან შეხვედრის პირობა მიეცით სოხუმიდან თბილისში ჩამოსულ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ანრი ჯერგენია, სერგეი ბაღაფში, ზურაბ აჩბა, ალექსანდრე ანქვაბი, დავით ფილია, ავთო იოსელიანი და თავად ნაპო მესხია, მაგრამ პირობა არ შეასრულეთ და პრაქტიკულად ხელი შეუწყეთ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებას.**

**თუ ეს ასეა, რა მიზეზით შეიკავეთ თავი და არ შეხვდით არძინბას, რომელიც საომარი მოქმედებების დაწყებამდე თქვენთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამდა.**

— მე გითხარით, რომ არძინბას შევპირდი, სოხუმში სიგუა და კიტოვანი ჩავიდოდნენ და რკინიგზის დაცვის საკითხებზე დაელაპარაკებოდნენ, მაგრამ

# ედუარდ შევარდნაძე: როცა რუსეთს ყოფილ ავტონომიებში პრობლემები შეექმნება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ მოსკოვის პოზიცია სხვაგვარი იქნება



**— ბატონო ედუარდ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაპო მესხია თქვენ „ქვეყნისათვის საზიანოდ დაშვებულ საბედისწერო შეცდომებში“ გადანაშაულებთ და საჯაროდ, ყველას გასაგონად ჩადენილი ცოდვების მონანიებისკენ მოგიწოდებთ. მესხია წერს – „იქნებ სცადოთ, ბატონო ედუარდ!“. ჩვენ კი გთხოვთ, იქნებ სცადოთ ბრალდებებზე პასუხის გაცემა. აპირებთ თუ არა, გაითვალისწინოთ რჩევა და მართლაც მოინანიოთ აფხაზეთის საკითხში დაშვებული შეცდომები?**

— ჯერ ერთი, უნდა ვთქვა, რომ მხოლოდ მსიამოვნებს ის აქტიურობა, რომელსაც ზოგიერთი მოქალაქე, მათ შორის ბატონი მესხია იჩენს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კონკრეტულ ბრალდებებს, მე არაერთხელ გამიცია პასუხი და კიდევ მზად ვარ, გავცე. მაგრამ, ბატონი მესხია ისეთ და იმდენ საკითხს აყენებს, რომლებზეც მე ჩემს წიგნში ვსაუბრობ. იგი კი ამბობს, თქვენ წიგნში ასე და ისე წერთო, მაგრამ, ეტყობა, ჩემი წიგნი სრულად წაკითხული არა აქვს. ჩემს წიგნში აფხაზეთზე თუ არ დავწერდი, აბა, რაზე უნდა დამეწერა?

ბატონ ნაპოს ბევრი ცალმხრივი ინფორმაცია აქვს და მასთან დავას ხომ ვერ დავიწყებ. ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ბატონი ნაპო წერს. დაერეკა ერთხელ და ეკითხა, ასე იყო თუ არა. ვიმეორებ, მე ცუდს არაფერს ვხედავ იმაში, რომ ამ კაცმა აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესი გამოიჩინა და როგორც თავად ხედავს, ისე წერს.

**— ნაპო მესხია ამტკიცებს, რომ აფხაზეთში ომის დაწყების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. თქვენი აზრი ემთხვევა დეპუტატ მესხიას შეხედულებას თუ თქვენ სხვა მოსაზრება გაქვთ?**

— მან ალბათ არ იცის, რატომ მოხდა აფხაზეთში ჯარების შეყვანა. ომის დაწყება არც არავის უფიქრია. კარგად უნდა გავარკვიოთ, თუ რატომ შევიყვანეთ ჯარი აფხაზეთში. მაშინ ბა. იმასაც დავაზუსტებ, რომ ჩემი წინადადება იყო, გახსნილიყო სამი პუნქტი, ერთი სამტრედიის მახლობლად, მეორე სოხუმის რაიონში და მესამე ლესელიძეში. რამდენიმე ასეულ ჯარისკაცსა და ოფიცერს დაეკისრებოდათ მატარებლების გაცილება და თავიდან აიცილებდნენ ამ ძარცვას. ასეთი იყო ჩანაფიქრი.

ომის დაწყებას არავინ აპირებდა. მაშინ ერთადერთი სამხედრო ძალა იყო გვარდია, რომელსაც კიტოვანი მეთაურობდა, მაგრამ მე რომ მთავარსარდალი არ ვიყავი, ისე გამოდიოდა, თითქოს კიტოვანისთვის ჩემი ბრძანება სავალდებული არ იყო. შემდეგ პოლიცია ისე შეიყვანეს, ჩემთვის არაფერი უკითხავთ და პირველად თოფი მაშინ გავარდა, როცა პოლიცია გალიდან ოჩამჩირეში გადაადგილდებოდა. გალი-ოჩამჩირის გზის მონაკვეთზე მაშინ, მგონი, ერთი ადამიანი დაიღუპა.

მატარებლების გაცილებასთან დაკავშირებით სატელეფო-

ხუმში სასწრაფოდ უნდა გადავფრენილიყავი და შევხვედროდი აფხაზეთის ხელმძღვანელობას, რათა კიტოვანის სოხუმში შესვლა არ დამეშვა. მაგრამ მარტო მე რას შევძლებდი. ომის დაწყების პრობლემა რთული საკითხია. აფხაზეთში ომის დაწყება იმ ადამიანის კისერზეა, ვინც სოხუმში ჯარები შეიყვანა.

**— 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთში ჯარის თუნდაც რკინიგზის დასაცავად შეყვანა რომ საომარი მოქმედებების დაწყებაში გადაიზრდებოდა, ამის პროგნოზირება რთული არ უნდა ყოფილიყო...**

— რატომ უნდა მოჰყოლოდა საომარი მოქმედებების დაწყება, როცა რამდენიმე თვით ადრე გია ყარყარაშვილი თავისი ბრიგადით შევიდა სოხუმში, მთელი აფხაზეთი ფსოუმდე გაიარა, ფსოუს წყალიც ისე დალია, რომ იქ პრობლემა არ შექმნია. ჩვენ აფხაზეთში რკინიგზის დასაცავად შევედით და არა საომრად.

**— ბატონო ედუარდ, დეპუტატი** სიგუა სოხუმში რომ ჩავიდა, არძინბა დაიმალა. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილში იყო. მაშინ სიგუამ იგი ვერ იპოვა, კიტოვანს არც უძებნია, რადგან მას არძინბა არ აინტერესებდა და სოხუმში შესვლა უნდოდა. ასე რომ ჯარის შეყვანა არ ნიშნავდა ომის დაწყებას. ვიმეორებ, ჯარი იმიტომ შევიყვანეთ, რომ სოჭი-სოხუმის რკინიგზის მონაკვეთზე მატარებლები არ გაეძარცვათ.

რაც შეეხება არძინბასთან შეხვედრას, მე არძინბას თბილისში ომის შემდეგ, 1997 წლის ზაფხულში შევხვდი. მაშინ იგი თბილისში პრიმაკოვმა ჩამოიყვანა. მთელი 8 საათი გავატარეთ ერთად, ვისაუბრეთ, მაგრამ არძინბა არაფერზე თანხმდებოდა. მერე პრიმაკოვმა ხელი ჩაიქნია და ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## რუსებმა აფხაზეთის დაპყრობა გალიდან დაიწყეს



**გალის რაიონში** მდგომარეობა უცვლელია. ამის შესახებ რადიო „პალიტრას“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორმა თორნიკე კილანვამ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, გალში კვლავ მიმდინარეობს რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობა.

მისივე განცხადებით, მძიმე მდგომარეობაში არიან მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებსაც აფხაზები ადგილობრივი პასპორტებისა და მოწმობების აღებას სთხოვენ.

მოსახლეობა არ აპირებს დაჰყვეს აფხაზთა მოთხოვნას, თუმცა შიშობენ, რომ სიტყვიერ მუქარას, შესაძლოა, უფრო მძიმე ზეწოლა მოჰყვეს.

## პირველი ზარი რუსეთის ბლოკ-პოსტის სიახლოვეს

**საჩხერის რაიონის** სოფელ პერევში გუშინ დილით ერთი თვის დაგვიანებით სკოლის ზარი დაირეკა.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის სკოლასთან ახლოს 200 მეტრში რუსეთის ჯარი დგას და უკანონო ბლოკ-პოსტია განთავსებული, სასწავლო პროცესი მაინც დაიწყო.

ადგილობრივები იმედს გამოთქვამენ, რომ დიდ ხანს არ მოუწევთ ბლოკ-პოსტის გავლით სკოლაში წასვლა. ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით სკოლაში ახალი ინვენტარიც შეიტანეს.

## სააკაშვილს ოსები კი არა, ჩვენც ვეძებთ

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის** დე ფაქტო გენერალური პროკურატურა უახლოეს დღეებში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ძებნილად გამოცხადებას აპირებს. ამის შესახებ „გაზეტა.რუ“ იუწყება.

დე ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადებით, სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა და ოსი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო უნდა აგოს პასუხი. კოკოითის თქმით, იგი საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობას არ აპირებს, თუმცა ქართველ ხალხთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას შეინარჩუნებს.

კოკოითის განცხადებით, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში ვერ ხედავს ისეთ ძალას, რომელიც მათი ინტერესების დასაცავად იბრძოლებდა.

## თსუ-ში ახალი სასწავლო წელი დაიწყო

**ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გუშინ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ახალი სასწავლო წელი თსუ-ს სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა და აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ მიულოცეს.



პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ სტუდენტებს წარმატებული წელი უსურვა და დაჭრილი ორი რეზერვისტი სტუდენტი: გიორგი შეყრილაძე და რუნარ ჰუსეინოვი პერსონალური კომპიუტერით დააჯილდოვა.

საზეიმო ცერემონიაზე პერსონალური კომპიუტერები უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ასევე უნივერსიტეტის 12 საუკეთესო პირველკურსელს გადაეცათ. მათ ეს ჯილდო ეროვნულ გამოცდებზე მიღებული მაღალი ქულებისათვის დაიმსახურეს.

ინტერპრესნიუსი

ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ

## ედუარდ შევარდნაძე:

# როცა რუსეთს ყოფილ ავტონომიებში პრობლემები შეექმნება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ მოსკოვის პოზიცია სხვაგვარი იქნება

(მესამე გვერდიდან)

**— დეპუტატი მესხია გახსენებთ ომის დაწყების ორი თვის თავზე სოხუმში, აწ გარდაცვლილი ავთო იოსელიანის კაბინეტში გამართულ შეხვედრას ოზგანთან, ანქვაბთან და დამენიასთან, რომლის დროსაც აფხაზური მხარე საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების პირობას იძლეოდა, რის შესახებაც მესხიამ თქვენ ტელეფონით შეგატყობინათ, მაგრამ თქვენ ამ ინფორმაციისათვის ყურადღება არ მიგიქცევიათ და მას ამ საკითხებზე ჯაბა იოსელიანთან შეხვედრა ურჩიეთ. რატომ?**

**და კიდევ, მოქმედებდნენ თუ არა ბატონი გივი ლომინაძე და ბატონი თამაზ ნადარეიშვილი სოხუმში თქვენთან შეთანხმებით. თუ არა, ბატონი მესხია კითხულობს — რატომ არ დასაჯეთ ნადარეიშვილი, რომელსაც გუდაუთიდან სოხუმში ჩამოსული იმ აფხაზი ლიდერების დაპატიმრება სურდა, რომლებიც აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლისათვის მზადყოფნას გამოთქვამდნენ?**

— სანამ სოხუმში იყო, ნადარეიშვილი თითქმის ყოველდღე მიკავშირდებოდა. იმას რატომ არ იხსენებენ, რომ ლომინაძე აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და მის სამინისტროს აფხაზური გვარდია რომ შეესია და მას ცხვირ-პირი დაუმტვრიეს და აფხაზეთიდან გამოაძევეს.

ავთო იოსელიანს მე ვენდობოდი, ვიცნობდი 20 წლის განმავლობაში. აფხაზეთთან დაკავშირებით რისი გამოძვეყნება აც მან სიცოცხლეში მოასწრო, საეჭვო არაფერი მინახავს.

**— ბატონი მესხია მიიჩნევს, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, როგორც თქვენი ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ, ბოდიში უნდა მოიხადოს აფხაზი ხალხისა და აფხაზეთში მცხოვრები ქართველების წინაშე. რას უპასუხებდით ამგვარ მოწოდებას?**

— ბოდიშის მოხდა რომ შველოდეს საქმეს და აფხაზეთი დაბრუნდებოდეს, სამებაში ან სადაც არ უნდა იყოს, მივიდოდი და ბოდიშს 100-ჯერ მოვიხდიდი, მაგრამ ეს საქმეს არ უშველის.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა მისთვის დამღუპველი გადაწყვეტილება მიიღო. თუ აფხაზეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, რატომ არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ჩეჩნეთი, ინგუშეთი, თათრეთი, ბაშკირეთი? ან დაღესტანმა რა დააშავა, სადაც 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და კასპიის ზღვაზე აქვს გასასვლელი?

**— ბატონო ედუარდ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამ ტერიტორიების დაბრუნების რა პერსპექტივა აქვს საქართველოს?**

— ჩვენ 12 წლის განმავლობაში ვარწმუნებდით აფხაზებსა და ოსებს, რომ ქართულ მხარეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით გვინდოდა კონფლიქტის მოგვარება, ბევრმა ოსმა და აფხაზმა ეს დაიჯერა. ბორჯომში ჩემთან შეხვედრაზე ჩიბიროვი მხოლოდ სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრას მოითხოვდა და არა დამოუკიდებლობის აღიარებას. იქნებოდა თუ არა სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში, ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არც იდგა და ამაზე საუბარი არც ყოფილა.

სხვათა შორის, პირველი პრეზიდენტის დროს ქართველების შეჭრა სამხრეთ ოსეთში ავანტიურისტული ნაბიჯი იყო. საქართველოში ჩემი დაბრუნების შემდეგ, გორში გამოსვლის დროს, ოსებს ბოდიში მოვუხადე იმ შეჭრისთვის, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და სისხლი არ უნდა დაღვრილიყო. ყოველთვის გავურბოდი სისხლისღვრას. პრეზიდენტის პოსტიდანაც იმიტომ გადავდექი, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. რომ არ გადამდგარიყავი, სისხლი დაიღვრებოდა.

სანამ ცხინვალში შევიდოდით და რუსები საქართველოს ტერიტორიებს დაიკავებდნენ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა საკმაოდ გარკვეული იყო. ვთქვი და გავიმეორებ, ბევრმა აფხაზმა და ოსმა დაიჯერა, რომ ჩვენ კონფლიქტების მოგვარება მშვიდობიანად გვსურდა. ბოლო ომი რომ არ დაწყებულიყო, ალბათ კიდევ რამდენიმე წელი იყო საჭირო და კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდებოდა.

რუსებს საქართველოზე ფიქრი არ ასვენებთ. მხედველობაში მყავს სამხედროები. 200 წელი ვიყავით მათი კოლონია. უახლოეს ხანებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა არ გვაქვს. ჩაინიშნეთ და დაიმახსოვრეთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გამო რუსეთს პრობლემები შეექმნება. როცა რუსეთს ყოფილ ავტონომიებში პრობლემები შეექმნება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ მოსკოვის პოზიცია სხვანაირი იქნება.

**კობა ბენდელიანი.**

**ინტერპრესნიუსი**

არ დაიჯეროთ!




# ყაზახური კომპანიები არსად წასვლას არ აპირებენ

## „ყაზტრანსგაზმა“ მეწარმეებს ყელში კიდევ ერთხელ წაუჭირა

*საქართველოში „მოგებული“ ომის შემდეგ რუსულმა პრესამ მსუყე ლუკმა მოიგდო პირში და გაშვებას აღარ აპირებს. მან ამ დღეებში მკითხველი მორიგი ტყუილით დააპურა: აბა რა ეგონათ ქართველებს, ომი რომ წამოიწყეს, აგე ყაზახებმაც კი ზურგი შეაქციეს და ადრე დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელებაზე უარი სტკიცესო. ამას თავად რუსები თუ დაიჯერებენ, თორემ საქართველოდან ყაზახი ინვესტორები და კომერციული კომპანიები არსად ფეხის გამდგმელნი რომ არ არიან, ყველა მშვენივრად ხედავს.*

*ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის დასტურად „ყაზტრანსგაზის“ საქართველოში „ნაღვაწიც“ გამოდგება. მან „თბილგაზის“ ხელში მოგდების შემდეგ იმდენად გაიმაგრა პოზიციები, რომ აქაურ მწარმეებს, რომლებსაც ისედაც არ აკლიათ ზემდგომთა მხრიდან თანხების მცინცლავი მეურვეობა, ულტიმატუმის ენით ლაპარაკი დაუწყო. კერძოდ, მიმდინარე წლის ივლისში საწარმოებს გაუგზავნა პეტიცია: ან ბუნებრივი გაზის საშუალო თვიური მოცულობის ღირებულებას წინასწარ 100 პროცენტით გადაიხდით (თანაც თვის პირველ რიცხვში) ან მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში კომპანია დაგაკისრებთ საურავს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი გაზის ღირებულების 0,07 პროცენტის ოდენობითო. ამ მუქარასთან ერთად საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაეგზავნათ ხელშეკრულების ტექსტიც, რომელსაც ხელს თუ არ მოაწერდნენ, გაზს სამუდამოდ დაემშვიდობებოდნენ.*

**— რა გადაწყვიტეთ, მოაწერეთ ხელი „ყაზტრანსგაზის“ კაბალურ ხელშეკრულებას? — ვკითხე მაშინ მცირე საწარმოს მეპატრონე მერაბ სამადაშვილს.**

— სხვა რა გზა მქონდა? ჯერ მრიცხველების გამოცვლას გვაძალებდნენ ჩვენივე თანხით, ახლა კი ხელშეკრულებას გვტენიან ძალით. ეს იმასა ჰგავს, კაცი დასახრჩობად რომ მიჰყავდათ და თოკის მიტანას თავადვე სთხოვდნენ. მოვაწერ ხელს, გაკოტრება ზედ მაწერია, არ მოვაწერ და — კიდევ უარესი. რა ბედენაა, გინდ გაზს დავუხრჩივარ და გინდ უგაზობას.

მეწარმეები განსაკუთრებით გაზის საფასურის წინასწარ გადახდის გაუმართლებელმა, მე ვიტყოდი, თავხედურმა მოთხოვნამ აღაშფოთა. გადარეული იყვნენ, ყველაფერი გაგვიგია და ეს აღარო, წინასწარ როგორ განვსაზღვროთ რა რაოდენობის გაზს დავხარჯავთ, თვის ბოლოს დაგვიანგარიშონ, ბატონო, დანახარჯი და იმის მიხედვით გადაგვახდევინონო.

ჯერ სად იყვნენ, თურმე წინ უარესი მოელოდათ. ამას მაშინღა მიხვდნენ, როცა „ყაზტრანსგაზმა“ საწარმოებს აგვისტოში მოხმარებული გაზის საფასური გაზრდილი ტარიფით — 51 თეთრის ნაცვლად 69, 27 თეთრად უანგარიშა (!ძ. თანაც გაზი მარტო მეწარმეებს კი არა, მოსახლეობის გარდა ყველა გაუძვირეს — მაღაზიებს, სავაჭრო ობიექტებს, სახელმწიფო დაწესებულებებს და სხვებს, ვინც კი კომერციას ეწევა.

რა შეიძლება ამას დავარქვათ — „ყაზახტრანსგაზის“ თვითნებობა თუ მომხმარებელთა უფლებების აბუჩად აგდება? ერთიც და მეორეც.

იხ. 7 გვ.

წერილი რედაქციას: SOS!

# ვინ არის ბატ. დ. პაიჭაძე, ჟურნალისტთა „დამბალანსებელი“ თუ მესაფლავე?

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე (ასეთია ყოფილი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეფინიცია დღეს) ა.წ. ივლის-აგვისტოში ჩატარდა აკადემიური პერსონალის ასარჩევი კონკურსი, რომელიც ვერ დასრულდა დადგენილ ვადებში და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. ასარჩევი იყო ერთი სრული და რვა ასოცირებული პროფესორი.** სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი განაცხადი შევიდა, ასოცირებული პროფესორის რვა ადგილზე კი — 17. უნივერსიტეტის ვებგვერდზე კონკურსის პირობებთან ერთად არ გამოქვეყნებულა კრიტერიუმები და ქულები, რითაც შერჩევა უნდა მომხდარიყო, რის გამოც ბურუსით მოცულია შეფასებათა შკალა, თანაც ქულები სხვადასხვა მიმართულებაზე განსხვავებული აღმოჩნდა. თავმჯდომარედ ყველგან ირაკლი კალანდია მოიაზრებოდა. დღემდე გაუგებარია, რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ კომისიის თავმჯდომარე და ქვეკომისიის წევრები, რა მონაცემებზე წერდნენ ქულებს, რა დამსახურებისა და ღირსებისთვის აფასებდნენ კონკურსანტებს (ვებგვერდზე დღესაც არავითარი ინფორმაცია არ დევს!ძ. ქვეკომისიის მუშაობა უფრო გამართული, შეუმცდარი და კვალიფიციური იქნებოდა, მისი შემადგენლობა სხვაგვარად რომ შერჩეულიყო. ჟურნალისტთა ქვეკომისია მთლიანად დაკომპლექტდა ე.წ. ექსპერტებით, ანუ იმ ადამიანებით, რომელთაც არ გააჩნიათ არც სამეცნიერო ხარისხი, არც სამეცნიერო წოდება. მათი გვარებია — პ.ვეშაპიძე, ა.ასათიანი, ნ.ჟიჟილაშვილი, გ.ლომსაძე, ს.ჭაავა. საკითხავია, რამდენად კომპეტენტურნი არიან ისინი სასწავლო პროცესების ექსპერტიზასა თუ უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიაში? ვინ მიანიჭა მათ ე.წ. „ექსპერტის“ ტიტული? საუნივერსიტეტო სწავლება და ჟურნალ-გაზეთების ექსპერტობა ერთმანეთთან ახლომდგომი ფენომენია?! როდის შემდეგ ირჩევს სრულ ან ასოცირებულ პროფესორს უხარისხო მედიაექსპერტი?

ამ პატივცემული „ექსპერტებით“ კომისიის დაკომპლექტება სხვა მიზნით იყო ნაკარნახევი, რაც ჟურნალისტიკის მიმართულების უფროსი ლაბორანტის (ახლა უფროსი სპეციალისტი რომ ეწოდება!ძ დ.პაიჭაძის „გამომგონებლობას“ უკავშირდება. მან ა.წ. მაისში ჟურნალისტიკის ბაკალავრიატის ოთხწლიანი სწავლების ორწლიანით შეცვლის გეგმა შეიმუშავა, რასაც თქვენი გაზეთი 102 სახელგანთქმული ადამიანის ხელმოწერით მღელვარედ გამოეხმაურა, რათა ჟურნალისტთა აღზრდის პირველი საძირკველი უნივერსიტეტიდან არ გამქრალიყო. მაშინ, მაისში, ეს არ მოხდა, მაგრამ აკადემიური პერსონალის ასარჩევ კონკურსში „დაისაჯა“ ყველა ის, ვინც აქტიურობდა და წინააღმდეგობა გაუწია ბატ.პაიჭაძეს. მას არც გამოცდილება და ცოდნა უწყობს ხელს, რომ ჟურნალისტთა კადრების აღზრდას წაუძღვეს. ორმოცს გადაცილებულმა ჯეელმა ახლახან ძლივს ჩააბარა გამოცდები დოქტორანტურაში პოლიტოლოგიის სპეციალობით. ჰოდა, დაადგეს პოლიტოლოგიის შემეცნების გზას, თავი დაანებოს ჟურნალისტიკას. ვინ ეკითხება მას ჟურნალისტთა მომავალი თაობის „დაბალანსებას“?! (ადმინისტრაციას აშინებს, საააკაშვილის და ლომაიას გამოგზავნილი ვარო... შემცდარან ხელისუფალნი, თუ სიმართლეა ეს ქადილი უფლების გადამეტებით გატაცებული ბატ. პაიჭაძისა?ძ.

როგორც ირკვევა, ბატ.პაიჭაძემ უნივერსიტეტის ქვეკომისიის პატივცემულ წევრებს მისცა დავალება — „კომუნისტური იდეოლოგიით აღზრდილი ძველი კადრი არ გააჭაჭანოთო“ (თვითონ უთუოდ მარსზე სტერილურად აღიზარდა!ძ, და ექვსი ასოცირებული პროფესორიდან ოთხი დარჩა უნივერსიტეტის მიღმა. ოთხიდან მხოლოდ ერთს „ერგო პატივი“ კომისიის გასაუბრებაზე გამოძახებისა. შენიშვნები შემდეგი იყო:

იხ. 6 გვ.

№ 183. სამშაბათი, 30 სექტემბერი, 2008 წელი.

◎ ყური დამიგდეთ, გეაჯებით!

*თავს უფლებას ვაძლევ, მოგმართოთ (თუ რატომ სწორედ თქვენ, ამას წერილის ჩაკითხვის შემდეგ თავად მიხვდებით) და წინამდებარე წერილის დედაარსის გათვალისწინებით გავბედო და დავსვა რამდენიმე კითხვა, რომლებიც ზოგიერთს, შესაძლოა, გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ როგორ მოიქცეს სხვანაირად ადამიანი, თუ მას წლების მანძილზე აქსიომური ჭეშმარიტების მტკიცება უწევს, მაგრამ შედეგი არ ჩანს?*

*აი ეს კითხვები:*

*1. საგამომგონებლო საქმიანობის დაწყება 16 წლის ასაკიდან არის თუ არა პოზიტიური?*

*2. გამოგონებების დანერგვისათვის უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით და ოქროს მედლებით დაჯილდოება ნიშნავს რაიმეს?!*

*3. გამოგონების ერთი განაცხადის ორ გამოგონებად ჩათვლა, ან აშშ-სა და საქართველოში ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე გამოგონების შექმნა არის განსაკუთრებული?!*

*4. სივრცის ათვისების ხარჯზე ყურძნის მოსავლის 30%-ით გაზრდა არის თუ არა არსებითი?!*

*5. გამოგონების დანერგვა მევენახის შრომის გაიოლებისათვის და ამ სიახლის ექსპორტი თუ არის მნიშვნელოვანი?!*

*6. მევენახეობის ინტენსიური გზით განვითარება ისე, რომ 50%-ით შემცირდეს ტექნიკისა და საწვავის ხარჯები, ნულამდე დავიდეს ვაზის ფესვთა სისტემაზე მძიმე ტექნიკის ზეწოლა და ათასობით ჰექტარი მიწა გამოთავისუფლდეს, არის თუ არა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?! (მით უმეტეს, თვალსაჩინო მეცნიერები საჯაროდ ადასტურებენ ამას — გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წ. 11 ნოემბერი, „გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს“).*

*7. ჩვენი ქვეყნიდან სიახლის გავრცელება საერთაშორისო არენაზე მევენახეობაში იქნება თუ არა საამაყო?*

*8. პარიზში და სხვა სიმპოზიუმებზე ქართველი გამომგონებლის მიერ შექმნილი სიახლეებისთვის მაღალი შეფასებების მიცემა არის თუ არა ყურადსაღები?!*

*9. მევენახეობის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი დროსა და ენერგიას ინსტიტუტში გახსნილი ბორდელების ცქერაში რომ დახარჯავს, ან მისი მოადგილე, პროფესორი მეხილეობის დარგში, რკოს თხილისაგან რომ ვერ გაარჩევს, ეს ჩაითვლება თუ არა უპრეცედენტოდ?*

*10. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მონოგრაფიის — „მევენახეობა ახლებურად“ — მაღალ დონეზე შეფასება აშშ-ის, ისრაელის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების მევენახეობის ს/კ ინსტიტუტებისგან და თვალსაჩინო მეცნიერებისგან ნიშნავს თუ არა რაიმეს?*

*11. საერთაშორისო არენაზე რაიმე სიახლეზე პრიორიტეტის დაკარგვა იქნება თუ არა ჩვენთვის უგუნურობა?*

*12. რამ უნდა გამოიყვანოს გმირული წარსულითა და დიადი ტრადიციებით მდიდარი ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური სიდუხჭირისგან: ჰუმანიტარულმა დახმარებებმა, „ლოდინის ქვაზე“ ჯდომამ თუ კონკრეტული საქმეებით განმტკიცებულმა ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრებმა და სახელმწიფოს მხარდაჭერამ?*

# ქვეყნისთვის სასარგებლო სიახლეები მავანთა უპასუხისმგებლობას არ უნდა ეწირებოდეს!



## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, ერისკაცებს და საზოგადო მოღვაწეებს; გამომგონებლებს, მევენახეობის, მექანიზაციის, ნიადაგმცოდნეობის და ეკონომიკური დარგების მეცნიერებს და სპეციალისტებს

**პასუხი ნათელია, და ეს რომ მართლაც ასეა, გაეცანით წინამდებარე წერილს. შესაძლოა, საკითხის არსი ისე არ მქონდეს გადმოცემული, როგორც ეს ჟურნალისტს შეეფერება, მაგრამ დაინტერესების შემთხვევაში ადგილზე გაჩვენებთ გადაწყვეტილ პრობლემებსაც და მევენახეობის მომავლისთვის გამიზნული კვლევის პერსპექტივებსაც.**

ამის შემდეგ კი, დარწმუნებული ვარ, არავინ მიიჩნევს აღნიშნულ არაორდინარულ კითხვებს გადაჭარბებულად.

მაქვს პატივი, გაუწყოთ, რომ 16 წლიდან ვეწევი საგამომგონებლო საქმიანობას და ვარ 30 გამოგონების ავტორი; ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მაქვს მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად“. ჩემს მიერ შექმნილ სიახლეებს მრავალი მევენახე წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკური ქვეყნის — საქართველოს უკეთ წარმოჩენის მიზნით ვნერგავ გამოგონებას „ვენახების გაშენება მაღალ-დაბალი ფორმირებებით“. იგი კარდინალურად ცვლის ტრადიციული მევენახეობის სისტემას და ანგრევს დღეს დამკვიდრებულ ექსტენსიურ გზას, კონკრეტულად — ფართორიგიან ვენახებს; ასეთ უაზრო გაშენებას ეწირებოდა სხვა არანაკლები მნიშვნელობის მქონე სტრატეგიული დარგების განვითარებაც, ამჟამად ვენახების დიდი ფართობები შენდება 3 მეტრის რიგთაშორისებით, ჩემი გამოგონების გათვალისწინებით კი გაშენდება 1,5-2 მეტრის რიგთაშორისებით ისე, რომ „დაბალ რიგზე“ ტრაქტორმა „გადაახტომოს“ და ერთდროულად ორი რიგი დაამუშაოს **(იხ. გამოქვეყნებული ფოტო).**

ვენახების ასეთ ახლებურ გაშენებას დიდ პროგრესთან მივყავართ. კონკრეტულად: ნულამდე მცირდება ვაზის ფესვთა სისტემაზე მძიმე ტექნიკის დაწოლა, 50 პროცენტით მცირდება ტექნიკისა და საწვავის ხარჯები ტრაქტორის თვლების შუაში მწკრივის მოქცევით და ერთდროულად ორი რიგის დამუშავებით.

ამ ნოვაციის დანერგვა-პოპულარიზაცია მევენახეს დაარწმუნებს გამოგონების სიმარტივეში, დახარჯული დროის, შრომისა და თანხის საგრძნობლად შემცირებაში, ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში და მთავარი — მიწის რესურსების მაღალეფექტურ გამოყენებაში, რომელიც საქართველოს სტრატეგიული დარგების შემდგომი აღორძინებისთვის ჰაერივით დასჭირდება.

რეალურად მიღებული თვალსაჩინო შედეგები და ამ შედეგების პოპულარიზაცია ეტაპობრივად გარდაქმნის მევენახეობას ახლებური ინტერპრეტაციით და აიყვანს განვითარების ახალ სიმაღლეზე. ამავდროულად, ვაზის სამშობლოს — საქართველოს რეფორმატორულ იმიჯს შემატებს საერთაშორისო არენაზე; 2010 წელს დაგეგმილ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე კი (რომელიც თბილისში ჩატარდება!ძ წარმოჩინდება, თუ როგორ იცვლება საქართველოში ძველი მეთოდები ახალი მიღწევებით ისე, როგორც თავისი დროზე „შპალერმა“ შეცვალა ჭიგოზე გაშენებული ვენახი, ტრაქტორმა კი მაშინდელი გამწევი ძალა, რაც უცხოეთიდან გავრცელდა.

მაშინ, როცა მევენახეობაში სიახლეები ინერგება ყველგან, ვაზის სამშობლოს, საქართველოს სხვებზე მეტი მოეთხოვება!

ყოველივე ზემოთ თქმული უფლებას მაძლევს, გთხოვოთ, დაათვალიეროთ კონკრეტული საქმით განმტკიცებული, ჩემს მიერ ახლებურად გაშენებული ვენახები საგარეჯოში. რეალური მდგომარეობითა და კომპეტენტური დასკვნებითაც თუ დარწმუნდებით, რომ ამ გამოგონების სტრატეგიით მევენახეობის აღორძინების მარტივი, მკაფიო და კონკრეტული გზა მართლაც იკვეთება, ვიმსჯელოთ კიდევ ერთ სხვა გამოგონებაზე. შესაძლოა საქართველომ მისგან დიდ ეკონომიკურ წარმატებასთან ერთად საერთაშორისო აღიარებაც მიიღოს მევენახეობაში და ლიცენზიაც გაიყიდოს.

აღწერილი გამოგონების დანერგვისას თავსატეხ პრობლემად მექცა ის, რომ მევენახეობის ს/კ ინსტიტუტის დირექტორს ნოდარ ჩხარტიშვილს არ დავუთმე გამოგონება; მან ჩემს წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა და სამეცნიერო ნაწილში თავისი მოადგილე ვაჟა კვალიაშვილიც ჩაითრია. მათ საქციელს ვუპასუხე იმით, რომ სამი გამოგონება საჩუქრად გადავეცი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (1992 წ., პატენტები №245, №246, №247), რითაც უფრო გაღიზიანდნენ და პასკვილებიც გამომიქვეყნეს, მაგრამ მათი ცილისწამება დასაბუთებულად უარვყავი.

ზემოთ ხსენებულ ბატონებს თუ ეჭვი შეეპარებათ, ვურჩევ გადაიკითხონ გაზეთები „ლიტერატურული საქართველო“. 18.09. 1998 წ. „გაჩეხილი ვაზის ტირილი“, 19.02.1999წ. „დაუნახაობის და განუკითხაობის აპოგეა“, და „საქართველოს რესპუბლიკა“ — **9.09.2005 წ. „საუნის დონეზე გადაწყვეტილი სიახლეები“.**

მათი უგუნური მოქმედებების გამო საქმე სასამართლომდეც მივიდა. კვალიაშვილი 2006 წ. თებერვლის სასამართლოს სხდომაზე შეეცადა ვაზის რქის სამაგრების იგნორირებას იმ მოტივით, რომ სიახლე არაფერიაო. მოსამართლე კოხრეიძის თხოვნაზე, გაეკეთებინა ეს სამაგრები მავთულზე და განემარტა უვარგისობის მიზეზი, ბატონმა პროფესორმა სამაგრები მავთულზე ვერ გააკეთა (!ძ და უვარგისობის მოტივიც რომ ვერ განმარტა, თავი გაიმართლა — სპეციალობით მეხილე ვარ და არა მევენახეო (!ძ, ამასთან დასძინა, მეხილეობის რეგიონში კასპის რაიკომის პირველი მდივანიც კი ვიყავიო. მომდევნო სასამართლო სხდომაზე „გამოჩენილმა“ მეხილე-მეცნიერმა კვალიაშვილმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ვენახის ორსიბრტყიანი შპალერი — „არ ვარგა, ამის და ამის მსგავსია“.

— ბატონო ვაჟა, მსგავსება იგივეობას არ ნიშნავს! — მეთქი, ვუპასუხე.

თავისი რომ არ მოიშალა, მუხის ნაყოფზე ვკითხე, რა არის-მეთქი. მიპასუხა, თხილიო (სინამდვილეში რკო იყოძ.

სასამართლო დარბაზში სიცილი ატყდა. მართალია, თხილი ჰგავს რკოს, მაგრამ განსხვავება რომ განვუმარტე... სიცილმა კიდევ უფრო იმატა, ხოლო კვალიაშვილის სიტყვებს — „კარგი, რაც იყო იყო, შევრიგდეთო“, — ხარხარი.

გამომგონებელთა კავშირის თავმჯდომარემ, თბილისის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა თამაზ შილაკაძემ სიცილისაგან თავი რომ ველარ შეიკავა, სხდომა დატოვა. საგარეჯოელი მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი რეზო სულიკაშვილიც შეეცადა დარბაზში სიწყნარის დამყარებას, სიცილხარხარის შეწყვეტის მიზნით მოსამართლე კოხრეიძეს კი ჩაქუჩიც გაუტყდა.

ერთი დიდი უბედურება ისიც გახლავთ, რომ ნოვაციების მუხრუჭად ქცეული მევენახეობის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ ჩხარტიშვილი ცინიკურად ექცეოდა გამოგონებებს, რომლის განაცხადი **№4662860 ჩაითვალა ორ გამოგონებად — №1664182; №1664183; ასევე იმ გამოგონებას, რომელიც საქართველოში და აშშ-ში ერთსა და იმავე დროს, 1988 წ. შეიქმნა, №1630686.** ოპონენტი მასხრად იგდებდა იმ გამოგონებებს, რისთვისაც სახელმწიფომ 8-ჯერ დამაჯილდოვა უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით, ოქროს მედლებით, ღირსების მედლით, და მომანიჭა დამსახურებული გამომგონებლის წოდება ყველაზე ახალგაზრდას — 33 წლის ასაკში.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, „გამოჩენილმა“ მეხილე-მეცნიერმა კვალიაშვილმა რკო თხილისგან ვერ გაარჩია. გენიალურ პარადოქსად ჩაითვლება ისიც, რომ მევენახეობის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი ზღვარგადასულ ცინიზმს იჩენდა იმ გამოგონებების მიმართ, რომელთა დანერგვით მევენახეობაში 50 პროცენტით მცირდება ტექნიკის გამოყენების აუცილებლობა თითქმის ნულ პროცენტამდე — ვაზის ფესვთა სისტემაზე ტექნიკის დაწოლა, თავად კი სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში „ბორდელების“ დანერგვას და მუშაობას უჭერდა მხარს (?!ძ. ამას ფარდა ახადა განათლების და მეცნიერების მინისტრმა ბატონმა კახა ლომაიამ და 2005 წლის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 ოქტომბერს ტელევიზიით ნანახმა სიბინძურეებმა შოკში ჩააგდო საზოგადოება.

ძნელია, მსოფლიოში იპოვნო ანალოგი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში იმისა, რომ სიახლეების ნაცვლად „ბორდელები“ ინერგებოდეს, მაგრამ ბევრად უფრო სამარცხვინოა იმ ქვეყნის მევენახეობის ს/კ ინსტიტუტისთვის, რომელზეც სიამაყით აცხადებენ: **ვაზის დაბადების ადგილი დედამიწაზე საქართველოა**. ეს სიტყვები საწინ

იხ. 6 გვ.

## ყური დამიგდეთ, გეაჯებით!

# ქვეყნისთვის სასარგებლო სიახლეები მავანთა უპასუხისმგებლობას არ უნდა ეწირებოდეს!

(მეხუთე გვერდიდან)

დარი უნდა იყოს იმისა, რომ საამაყო საქმეებით ვამდიდროთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიღწევები და ტრადიციები; სტრატეგიული დარგების მაღალ დონეზე განვითარების წყალობით ავაყვავოთ საქართველო, რის მაგალითად არა მარტო ჭარბი რესურსების მქონე აშშ-ს, არამედ ულარიბესი რესურსების მქონე ისრაელს მოვიყვან. ორივე ქვეყანაში პირადად დავრწმუნდი, რომ დღესაც კი მაღალინტელექტუალურ შედეგებზე ამყარებენ განვითარების იმედებს.

**წილეობისთვის ჩემს მიერ გადახდილი 800 ლარი კანონიერია?!** ეს თანხა მამაჩემის პენსიაზე დანამატითაა შეგროვილი, ამ დანამატს კი იმიტომ იღებდა, რომ 19 წლისა დააჯილდოვეს ზურგში მამაცობისთვის 1945 წელს.

განა სირცხვილი არ არის, უნიკალური ჯიშებით გაშენებული ვენახი მინადგურდებოდეს, იმ სამინისტროს ხელმძღვანელი კი, ვისი მიზეზითაც ეს ხდება და ვისაც დახმარებისთვის მივმართე, ა. წ. 21.02 №5-1-9 წერილით მპასუხობდეს – სასამართლოს მიმართეთო?

**ე. ი. ვენახი გავკაფო?** ის ვენახი, **ბატონები კონარევი და იევლევი, რომლებიც პირადად ეცნობოდნენ ნოვაციებს და საკუთარი ინიციატივით „ვოლგებითაც“ კი მაჯილდოვებდნენ.**

**მიუხედავად იმ დიდი ინტერესისა, რომ მქონოდა უნიკალური ჯიშებით გაშენებული ვენახი, რაკი ამოვწურე ყველა შესაძლებლობა იმისა, რომ შევხვედროდი სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ კვეზერელს, და არც თანხის ეტაპობრივი გადახდის იმედი მაინც მოუცია ვინმეს, გადავწყვიტე, ვისაც სურვილი და კარგი მოვლის საშუალებაც ექნება, საკვირტე მასალის** ნაცხადა: **„ბავშვობაში ვაზის ახვევის სამუშაოები მისრულებია, ვიცი როგორი რთულია და მოგებაც რომ არ მივიღო, მის წარმოებას მე დავაფინანსებ“,** კაბინეტში კი 12%-იანი მოგებით დამიდო ხელშეკრულება. ვალებით 7 000-ლარიანი ფორმა გავაკეთე, მასალა ნისიად ვიყიდე, ბანკში ანგარიშიც გამახსნევინეს და შემდეგ 13 000 (ცამეტი ათასიძ ლარი 12%-ითაც არ მასესხა, მაშინ როცა მევენახეები იმედით ელოდნენ მის საქვეყნო დანაპირებს და ექსპორტიც უნდა მეწარმოებინა, რასაც 90-იან წლებში ვაწარმოებდი.

იმედით მოგმართავთ, რომ დაავთვალიეროთ ახლებურად გაშენებული ვენახები და ის ვენახიც, რომელიც მინადგურდება ტენდერში გამარჯვებული 16 000 (თექვსმეტი ათასიძ ლარის მიღების იმედით – უნიკალური ჯიშები, ვალებით რომ გავაშენე.

„სამტრესტი“ ტენდერის თანხას არ მიხდის იმ მიზეზით, რომ 2006 წლის 17 ნოემბრის №1-91 წერილით „სამტრესტი“ გაუქმდაო (!ძ. ამავე წერილში მის სამართალმემკვიდრედ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოიხსენიება, რომელიც ცრუობს – ხელშეკრულება არ დადებულაო და ტენდერიც უკანონოდ ჩატარდაო. და ეს მაშინ, როცა ხელშეკრულება მაქვს, მაგრამ არაფრად აგდებენ, რადგან მათთვის მოქმედებს „უკანონობის კანონი“ და სწორედ ეს არის უბედურებათა სათავე. მათ ჰგონიათ, ამით სახელმწიფოს ინტერესებს იცავენ, მაგრამ ვერ გაუცნობიერებიათ, რომ მევენახეების ხელშეწყობა და მევენახეობის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული სამშობლოს კეთილდღეობასთან. ტენდერი თუ უკანონო იყო, **მასში მონა**წილეობისთვის... რომელიც დღეს დასტურია იმისა, **როგორ მიიღოს მევენახემ ნაკლები შრომით ყურძნის უხვი და ხარისხიანი მოსავალი სივრცის ათვისების ხარჯზე, როგორ გამოვიყენოთ მიწა ინტენსიურად მცირემიწიან ქვეყანაში.**

**ის ვენახი გავკაფო, სადაც ხორცშესხმული გამოგონებების ხილვით ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და მინისტრები ღირსების, ოქროს მედლებითა და უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით მაჯილდოვებდნენ** (1986 წელს მინისტრის ბ-ნ გურამ მგელაძის ბრძანებით ვიყავი დაჯილდოებული 20 000 მანეთით, რომელიც ჩერნობილის დახმარების ფონდში გადავრიცხეძ?

**ის ვენახი გავკაფო, სადაც ახალგაზრდობა არა მარტო სიახლეების დანერგვა-გავრცელების მაგალითს იღებს, არამედ თავადაც უჩნდება უკეთესი გამოგონებების შექმნის სურვილი?**

**უკომენტაროდ არც იმის დატოვება მინდა, რომ მარტო ქართველი მინისტრები კი არ იჩენდნენ ყურადღებას სიახლეების მიმართ, არამედ საკავშირო მინისტრებიც, გამრავლების მიზნით ვაჩუქო 2-3-4-წლიანი უნიკალური ჯიშის ვაზების 5 000 ძირი: საფერავი კლონი №359, ბუდეშური, მწვანე კახური კლონი №12, ოცხანური საფერე, კრახუნა, ცხენის ძუძუ აფხაზური, მტევანდიდი და ხიხვი, რომელიც თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქაში ჯანანურას სახელით ყოფილა გავრცელებული. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ შესაძლოა საქმისადმი ცალკეული პასუხისმგებელი მუშაკების ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ზოგიერთი მათგანი უახლოეს ხანში საქართველოში წარსულის მოგონებადღა შემოგვრჩეს.**

**და ბოლოს, რისი თქმაც ბევრად სჯობს უთქმელობას:**

### ავერსი – ლიდერი ლიდერთა შორის – დაპირებებშიც ცრუ ყოფილა!

„რუსთავი 2“-ის „იდეა, ფული და ერთი შანსის“ გადაცემაში ბატონმა პ. კურტანიძემ ტელევიზიით გა-

ამდაგვარი კურიოზებით სავსეა გამომგონებელთა ცხოვრება, საქართველოში – მით უმეტეს.

ერთ ჩემს მეგობარს ისეთი ორიგინალური იდეა აქვს, რომლის პრაქტიკული ხილვაც ნებისმიერს (მილიონერსაც კიძ მოეწონება და ისურვებს იყიდოს ეს 50-ლარიანი ნივთი, მაგრამ ვერ მიაღწია იმას, რომ 30 000 ლარი სესხი აიღოს (ბანკები დამწყებ ბიზნესმენს არ აფინანსებენძ და დაიწყოს შიდა წარმოება და ექსპორტიც.

ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შემიძლია. მეტი დამაჯერებლობისთვის, მოკლედ ვიტყვი ერთსაც: **ვაზის საწამლი აპარატები XXI საუკუნეში საქართველოს უცხოეთიდან შემოაქვს (!)** მაშინ, როცა **25 წლის ნოვატორის** (თბილისის **ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის წითელ დიპლომზე კურსდამთავრებულის)** მიერ შექმნილი აპარატი ბევრად სჯობს უცხოურს და ექსპორტის საგანიც იქნება. რაოდენ გულსატკენადაც არ უნდა ჟღერდეს, 20 000 ლარის უქონლობის გამო (თუნდაც არსებულის გადასაკეთებლადძ გასაქანი არა აქვს ინიციატივას, ვერც თავად მუშაობს, ვერც სხვას ასაქმებს და დღიური მუშაობით ირჩენს თავს.

გამოგონებების ფასი და გამომგონებლის მიზანიც ის არის, რომ სიახლეები დაინერგოს. ხშირად მარტივი ტიპის ორიგინალური გადაწყვეტილებებიც კი ფინანსების უქონლობის გამო ვერ ხორციელდება. გამომდინარე წერილის პათოსიდან, საგამომგონებლო საქმიანობისა და ექსპორტის გააქტიურების მიზნით იქნებ შეიქმნას **ექსპორტის ფონდი საექსპორტო ნაწარმისთვის,** სადაც საპროცენტო სარგებელზე მეტად საექსპორტო ინტერესები იქნება დაცული, ნოვატორს საშუალება ექნება „ჩაწყობის გარეშე“, მყარი გარანტიით აიღოს სესხი წარმოებისთვის, რასაც სახელმწიფოსა და მეცენატეებისგანაც გარკვეული ყურადღება დასჭირდება. ფაქტია, გამოგონებები პიროვნებას ისე არ სჭირდება, როგორც სახელმწიფოს. იგი ბაზისია, რომელზეც იგება ქვეყნის აყვავების სტრატეგია და ტაქტიკა.



ამავდროულად, ეს წერილი მიიღეთ ერთი ჩვეულებრივი ადამიანის 50-წლიანი ცხოვრების ანგარიშად, დარწმუნებით ვერ გეტყვით, ჩემს მემუარებში ეს წერილი დაიკავებს თუ არა ადგილს იმ თავების გვერდით, რაც „ჯიუტ გამომგონებელს“ გადახდენია, მაგრამ იმაში კი მერწმუნეთ, რომ მასზე რეაგირება ან ურეაგიროზა ბევრისთვის გახდება დაფიქრების საგანი და არჩევანის საშუალება.

პატივისცემით
**თამაზ ქლივიძე.**

***რედაქციისგან:** იმედია, მავანთა უსულგულობა-უყურადღებობა-უპასუხისმგებლობით გულგატეხილ-იმედგაცრუებული, მაგრამ, საბედნიეროდ, არა ყველაფერზე ხელჩაქნეული ამ წერილის შემოქმედი ბუნების ავტორის თხოვნა და მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩება ამ პუბლიკაციის ადრესატებს და, საერთოდ, ყველას, ვისთვისაც ქართული მევენახეობა-მეღვინეობა, ძვირფასია. და გამოგვეხმაურებიან. რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს მათ ადგილს გაზეთის ფურცლეებზე. აქვე გთავაზობთ ბატონ თამაზ ქლივიძის ტელეფონის ნომერს: 899 10-43-18*

## წერილი რედაქციას: SOS!

# ვინ არის ბატ. დ. პაიჭაძე, ჟურნალისტთა „დამბალანსებელი“ თუ მესაფლავე?

(მეოთხე გვერდიდან)

1. ვრცელია XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის სილაბუსი. 60 აკადემიურ საათში როგორ ახერხებთ ამ პროგრამის გადაცემას? (სასწავლო პროცესში ჩაუხედავისთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ცოდნის გადაცემას გამოცდილება და მასალის ზედმიწევნით ფლობა სჭირდება).

2. სახელმძღვანელო – „ქართული პუბლიცისტიკა. ქრესტომათია. XIX საუკუნე“ – დიდია, სტუდენტი როგორ აითვისებს 400 გვერდსო (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქრესტომათია პირველია ჟურნალისტიკამცოდნეობაში, რომელშიც შერჩევით შეტანილია პუბლიცისტური სტატიების კლასიკა სოლომონ დოდაშვილიდან ნოე ჟორდანიამდე. ამ წერილების უმეტესობა სტუდენტისთვის მიუწვდომელია, რადგან მეცხრამეტე საუკუნის პრესის ფურცლებზეა გაფანტული, ამასთან, ქრესტომათიაში ყველა პუბლიცისტის მოღვაწეობის ძირითადი შტრიხები, პორტრეტები და ჟურნალ-გაზეთების ილუსტრაციებია დასტამბული. ეს სახელმძღვანელო თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა 2008 წელსძ.

3. რატომ ითხოვთ გამოცდაზე წერილობით ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის“ შინაარსს? (ვფიქრობ, სტუდენტმა უნდა იცოდეს ამ ნაწარმოების შექმნის ისტორია, პოლემიკის ოსტატობა, რა არგუმენტებით უნდა ებრძოლო მოძალადესა და მიმტაცებელსძ.

4. ყველაზე „ჩამჭრელი“ შეკითხვა – რამდენი სტუდენტის პასუხია ძალიან კარგი, „ფრიადზე“ რომ აფასებთ. პასუხი – 40 ბაკალავრიდან 12, ე.ი. მეოთხედი? – გაიკვირვა „განათლებულმა“ ექსპერტმა (როდის ყოფილა, რომ ამაზე მეტი „ფრიადი“ იწერებოდა, თუ ცოდნას აძლევ და ითხოვ კიდეცძ.

5. განსწავლულმა „ექსპერტმა“ ილია ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვის“... გადაცემის მეთოდიკაც „მოითხოვა“. განმარტება ამ პუბლიცისტური წერილის სწავლებისა დაწვრილებით მოისმინა. ვინ იცის, დაკმაყოფილდნენ თუ არა ქვეკომისიის ექსპერტები, მათ შეფასებები არ გაუმჟღავნებიათ, ერთი კი ბრძანეს: ოთხი მონოგრაფია უდრის ერთ გრანტში მონაწილეობასო, რაც 20 ქულით ფასდებაო, თქვენ გრანტში მონაწილეობა არ გაგაჩნიათო (ეღავე „გრანტიჭამია“ ახალგაზრდებს, სად მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სამეცნიერო გამოკვლევა, კონფერენციების ხელმძღვანელობა და სად გრანტი, რომელიც ხშირად მხოლოდ მავანთა ჯიბეებში ჩადის, მაგრამ სტუდენტს არაფერს მატებს!..ძ.

ჟურნალისტთა აღზრდაზე ფიქრმა უნდა შეაწუხოს ყველა განათლებული მამულიშვილი. იქ, სადაც არ ასწავლიან ქართული ლიტერატურის ისტორიის არც ერთ პერიოდს, საქართველოს ისტორიას, არც ერთი ქვეყნის ჟურნალისტიკის ისტორიას, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას დიდი დატვირთვა აქვს, იგი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ფართო ასპარეზია, რაც ეროვნული თვითშეგნების გამომუშავების მყარ ფუნდამენტს ქმნის. როგორც ჩანს, ეროვნული მუხტით სტუდენტის აღზრდა „აწუხებს“ ბატ.პაიჭაძეს, თორემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირსება მისთვის უცხო ხილია, ის ხომ საკუთარი სურვილით ფლანგავს უნივერსიტეტის სახსრებს (სხვა ორგანიზაციებიდან დადის მივლინებებში, მაგრამ განცხადებას არ წერს ადმინისტრაციის სახელზე, იღებს ორ ხელფასს უნივერსიტეტში. როგორც უფროსი ლაბორანტი, ანუ უფროსი სპეციალისტი 10 საათიდან 6 საათამდე უნდა უნივერსიტეტში ბრძანდებოდეს, მაგრამ ის ხომ შეუცვლელი რადიოდიქტორია! ამიტომ 4 საათიდან რადიო რედაქციისკენ მიეშურება, მაშინ როდესაც ამ თანამდებობის სხვა თანამშრომლებს ხუთი წუთით დაგვიანება ეკრძალებათ.ძ.

დრო მოდის, ქვეყანა იცვლება, ამ ცვლილებებს თუ ფეხი არ აუწყე, წუთისოფელი გაგრიყავს, დაგაჩლუნგებს... ორმოცდახუთი წელი ჟურნალისტთა აღზრდაში მოიკეცა ისე, რომ ვერც კი გავიგე. ბევრი აღზრდილის მადლიერებით ვხარობ დღესაც, მაგრამ სინანულის გრძნობით ვამთავრებ ამ ვრცელ ინფორმაციას. უსამართლობა ფრიად მუხთალი და შესაზარი ყოფილა.

**დალი ჩიკვილაძე.**
29/IX.08 წ;

## გამოცდილება – წიგნად

**სანამ ამ პატარა წერილის პირველ სტრიქონს დავწერდი, ერთი ძველი ირონიული ნათქვამი წამომაგონდა: მთავარია ადამიანობა, ხოლო თუ ფულიც გაქვს, სიმართლე არ დაგეკარგებაო. სიმართლეს იმიტომაც აქვს ყოველთვის ფასი, რომ ყოველთვის, ყველა დროში უჭირს, და თუ არა სწორედ ადამიანობაშენარჩუნებული**

მკითხველს უთუოდ ახსოვს აბელ გეგიას წინა წიგნებიც – **„ქმნა მართლისა სამართლისა...“, „წარსულიდან მომავლისაკენ“, „დიდის მონატრება“** და ყველგან ჩვენი თანამდევი ბოროტების ნერვია ამოთხრილი. აქაოდა ბუნებამ აბელად შემქმნაო, ეს მართლგამკითხავი კაცი მთელი ცხოვრება იმ კაენთ ებრძოდა და ებრძვის, ძმი**ლება გააჩნდა, მაგრამ არ დასცალდა. „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ლევან რამიშვილმა, თეა თუთბერიძემ და პარლამენტიდან გიგა ბოკერიამ ითათბირეს და ლუსტრაციის კანონპროექტი „მოთხარეს“...**

**მოთხრით კი იმიტომ მოთხარეს, რომ ნიღაბი ჩამოეხსნებოდა ყველას, ვინც საქართ-**

# მართლგამკითხავი სასწორი...

## ანუ კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება კაენებს ებრძოდა

**ადამის შვილნი, ალბათ, მუდამ ფული გაიტანდა თავისას...**

კაცი, რომლის მცირე, მაგრამ საოცრად დროული წიგნის გამო ვწერ ამ სტრიქონებს, უწინარესად იმითაც განსხვავდება თავის თანამედროვე სამართლის დამცველთაგან, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ხელიდან გაუგდებლად ეჭირა, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, **მართლგამკითხავი სასწორი**, ხოლო ყურში გამუდმებით ჩაესმოდა ჯერ კიდევ ყრმობისას ნასწავლი **„გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“**, და სულ იმის ცდაში იყო, რომ სწორედაც ადამიანობისთვის არ ელალატა, კაცობაში არ ჩაჭრილიყო.

და აკი არც ჩაჭრილა! საქართველოში თვლა არა აქვთ იმ ადამიანებს, ვისაც ადამიანობის თანაბრად და თანასწორად ნიადაგ ფულიც ჰქონია, თანაც იმდენი და იმისთვის საყოფი, რომ თავს დატეხილი უბედურების ჟამს სიმართლე არ დაჰკარგოდა, და თუ არა აბელ გეგიასთანა ღირსეული კაცები, ნამდვილად კიდევ უფრო მეტი და ბევრი დასწყევლიდა თავის წუთისოფელს, ვიდრე დღემდე დაუწყევლიათ უსამართლობით გატანჯულთ ჩვენს პატარა ტურფა საქართველოში!

მართლმსაჯულების ამ მართლაცდა მართლად მსახურმა კაცმა უკვე 80 წელიწადი ჩამოფქვა ცხოვრების მარად მბრუნავ ულმობელ წისქვილზე და უტყუარი სიმართლისთვის არც ამჯერად უღალატია, როცა მთელი თავისი დიდი გამოცდილება კიდევ ერთ ახალ წიგნად შეკრა და მრავალთა ჭკუის სასწავლებლად **„ვარდებით მოტანილი მართლმსაჯულება“ დაარქვა.**

სა თუ მოძმის სისხლმოწყურებულნი გამუდმებით სიცოცხლეს რომ უწამლავენ კეთილსინდისიერ ადამიანებს;

„ვარდებით მოტანილი მართლმსაჯულება“ სულ 17 თავისგან შედგება. ჩვიდმეტივე მრავალ ფრიად საყურადღებო ფაქტსა თუ დასკვნას შეიცავს და თვალთცხადლივ დახატულია ქვეყნის ის ამჟამინდელი წინასაინფარქტო მდგომარეო-




ბა, რაც ბოლო ხანს ჩვენში ძალადობაზე დაფუძნებულმა უკანონობამ და ამ უკანონობით ზურგგამაგრებულმა ნაარმევმა ფულიანობამ შექმნა.

ამ მხრივ თუნდაც წიგნის მარტო ორი თავის გამოყოფაც იკმარებდა. ერთს **„საპროცესო გარიგება“** ჰქვია, მეორეს – **„ლუსტრაციის კანონი“. „საქართველოს ერთხელ ჰქონდა ლუსტრაციის კანონის მიღების შანსი,** – ნათქვამია წიგნის ამ თავში, – **ამ ისტორიული მისიის შესრულების შესაძლებლობა ზვიად გამსახურდიას უნდა ეტვირთა, რადგან ამის ზნეობრივი უფ-ლება გააჩნდა, მაგრამ არ დასცალდა.** (ბოლო სიტყვები ზემოთ)

**ველოს ტყვია ესროლა და ყელი გამოსჭრა, ვინც კრწანისის რეზიდენციაში იყო, დღეს კი სააკაშვილის გარემოცვას „ამშვენებს“...** როგორც ავტორი ფიქრობს, ამ კანონის მიღების შემდეგ პარლამენტიც დაცარიელდებოდა და მთავრობის კაბინეტებიც.

სულაც არ არის საჭირო დიდი სიბრძნე იმის მისახვედრად, რომ სწორედ წინა წლებში ავად „კუდმოსვრილნი“ ყველანაირად უშლიან ხელს ამ ერთგვარად გამწმენდი კანონის მიღებას. არადა, მაინც როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ კანონის ამდენი მიღება-არმიღება?! ნუთუ ასე ძნელია იმის დადგენა, თუ ვის რატომ ჰგვრის ელეთ-მელეთებს გამოაშკარავება?! ცხადია, არავის არ სურს თბილი სავარძლიდან ნებაყოფლობით „ამოხტომა“, მზაკვრობასა და კაენობაში მხილება!...

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, იუსტიციის უფროსი მრჩევლისა და იუსტიციისავე პოლკოვნიკის, მეცნიერების დოქტორის აბელ გეგიას ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი იყო **„დეპუტატის გაწვევის უფლება – სახელმწიფო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი“.** ასე რომ მზაკვრობასა და კაენობაში მხილების შემდგომ ვის როგორ მოუწევს თბილი სავარძლიდან ნებაყოფლობით თუ კანონის ძალით „ამოხტომა“ აბელ გეგიას ამ კითხვაზეც ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ აქვს პასუხი გაცემული.

ხოლო რაც შეეხება ამ ბოლო წიგნის დედაარსს, ის შექსპირის გენიალური აზრით არის გამოხატული: **„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, გინდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“.**

**თვითონ ბატონ აბელს კი ერთი უავტორო გამოთქმა აქვს აკვიატებული. ეს გამოთქმა ასე ჟღერს: იმისათვის, რათა ყველაფერი გაცხადდეს, რაც დაფარულია, თავშერცხვენილმა ხელისუფლებამ თავისი შერცხვენილი თავი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაგვიკრას და, ღმერთმა ქნას, მშვიდობიანად დაგვემშვიდობოს...**

გურამ წიკლაური.

*„ზოგიერთი უგუნური მბრძანებელი, მეფე, იმპერატორი თუ პრეზიდენტი, რომელსაც ხშირად ბელადსაც ეძახიან, ყურს უგდებს არა იმით, ვინც სწავლით, ცოდნით, ცხოვრების გამოცდილებით, სინამდვილის გაგებით, ადამიანთა მდგომარეობის გათვალისწინებით გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხის დახმარებას ურჩევს, არამედ ალაღებს და კეთილი ცხოვრებით ათამამებს ერთ მუჭა მლიქვნელებს, ტაშის დამკვრელებს. იმათ, ვისაც ქებითა და ლიქნით, ლოკვითა და კუდის ქნევით შეცდომაში შეჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც ველარ ხედავს მილიონობით შეჭირვებულთა უკიდურეს სიღარიბეს, რის მიზეზითაც ქვეყანაში იწყება უთანხმოება, დრტვინვა, არევ-დარევა, იქმნება მძიმე კრიმინალური ვითარება“.*

*აბელ გეგიას წიგნიდან – „ვარდებით მოტანილი მართლმსაჯულება“.*

## არ დაიჯეროთ!

**(მეოთხე გვერდიდან)**

თუმცა თავად მიაჩნიათ, რომ ამ ეპითეტებს უფრო ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა იმსახურებს, რომელიც „შემოქმედებითად“ მიუდგა ენერგეტიკული რესურსების ტარიფიზაციის პრობლემას და მისი გადაწყვეტის კაცობრიობისთვის ჯერაც უცნობ წყაროს მიაგნო. არ გაინტერესებთ, რა წყაროზეა საუბარი?

**ენერგეტიკის მინისტრის ალეკო ხეთაგურის განმარტებით, თურმე ასეთი თვითნაბადი წყაროა მომხმარებლისთვის გაზის მიწოდების დარეგულირება, რომელიც უბრალო, მომაკვდავი ადამიანების ენაზე იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლებს ამიერიდან შეუძლიათ, გაზი ნებისმიერი მომწოდებლისგან შეისყიდონ, თანაც რაც შეიძლება იაფად. თუ ისინი ამ ხელსაყრელ**

– ეჰ (ოხრავს გიაძ, მასეთი ტყუილებით რამდენიხანია გვკვებავენ მეწარმეებს, მაგრამ, როგორც ხედავთ, მაგით მეწარმეობაც გაანადგურეს და ქვეყნის ეკონომიკაც დააქციეს.

**– არა ხარ მართალი, ძმაო,– ვსაყვედურობ, – ვითომ ეძებე და მასეთს ვერავის მიაკვლიე?**

– როგორ არ მივაკვლიე,ვიყავი აზერბაიჯანულ-ქართულ ფირმა „სოკარში“, გაზის საერთაშორისო კორპორაციაში და სხვაგანაც, მაგრამ 56 თეთრზე ნაკლებად გაზს არავის იძლევა.

**–ყოველ შემთხვევაში,იმაზე ნაკლები ხომ არის, რა ფასადაც (69, 27 თეთრი) „ყაზგაზტრანსი“ ჰყიდის?**

– ეგენი მთლად ნამუსგარეცხილები გამოდგნენ, პირველი აგვისტოდან ისე გაგვიძვირეს გაზი, მომხმარებლებს არც

# ყაზახური კომპანიები არსად წასვლას არ აპირებენ



**მომენტს ხელიდან გაუშვებენ და მასში მონაწილეობას არ მიიღებენ, შეიძლება გაზის გაიაფების ნაცვლად, გაუძვირდეთ კიდეც. ასე რომ, ამიერიდან ყველაფერი მათ მარიფათიანობაზე იქნება დამოკიდებული. იაფი გაზი მომხმარებელმა თავად უნდა მოიძიოს.**

კი მაგრამ, მომხმარებელი თუ მოიგებს, ამ შემთხვევაში დისტრიბუტორი ხომ წააგებს? არა, დარეგულირება თურმე, ისეთი „ხელეჩოა“, რომელიც ორივე მხარეს ასარგებლებს. ის დისტრიბუტორი, რომელსაც შედარებით დაბალი ტარიფი ექნება, გაიზრდის მომსახურების არეალს და ამის შესაბამისად – შემოსავლებსაც. ძვირი გაზის მფლობელი კი, პირიქით, გაკოტრდება. ასეა თუ ისე, საბოლოოდ მოგებული მომხმარებელი დარჩება. ამასთან, ნებისმიერ პირს შეუძლია, შექმნას კომპანია, იყიდოს გაზი საბითუმო მომწოდებლისგან იაფად, გაყიდოს შედარებით ძვირად და ფული მოიგოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დარეგულირებას შეუძლია, მომხმარებელიც მოგებული დატოვოს, დისტრიბუტორიც და უმუშევარი ხალხიც დაასაქმოს(!ძ.

ჰე ბიჭო, იმ „სალხინოსი“ არ იყოს, თუ ასეთი უცუნა წამალი გვქონდა, რომელიც ყველა ტკივილს განკურნავდა, აქამდე სად ვიყავით? სიბნელეში. წარმოგიდგენიათ,ვიდრე ენერგეტიკის სამინისტრო არ აღმოაჩენდა, თურმე საქართველოში კონკურენციის კანონს არ ვიცნობდით (!?ძ. ან შეიძლება ვიცნობდით კიდეც, მაგრამ „დარეგულირება“ თუ ერქვა, არ ვიცოდით.

**– გშველებია და ეგ არის, – ვეუბნები ნაცნობ მეწარმეს (გია კობერიძეს) – მოძებნე ისეთი დისტრიბუტორი, რომელიც გაზს სხვაზე იაფად მოგყიდის და ერთბაშად გამდიდრდები.**

კი შეგვატყობინეს. ახლა რომ გაიგეს ალტერნატივას ეძებენო, შემოგვიძვრნენ – არ გვიღალატოთ და მაგ ფასად (56 თეთრადძ ჩვენც მოგცემთო. აბა ჰკითხეთ მაგ თქვენს ენერგეტიკის მინისტრს, რომელი უფრო მეტია 56 თეთრი თუ 51 და იმის თქმაც არ დაგავიწყდეთ, აგვიხსნას, მომხმარებლები მოგებულები როგორღა დავრჩით?

მოგებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გაზის კომპანიებმა მეწარმეებს და საერთოდ ყველას ტარიფის წარამარა ზრდით ყელში კიდევ ერთხელ რომ წაუჭირეს, ეს კი ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ სემეკმა ამ საქმისგან ხელები დაიბანა და გასული წლის სექტემბრიდან გაზის მომწოდებლებისთვის ტარიფის დადგენა ენერგეტიკის სამინისტროს გადაულოცა, თავად კი ქუთაისში გადაბარგდა.

ამ უკანასკნელს რა ენაღვლება. გაძვირებული გაზი ძირითადად ენერგოტევად კვების მრეწველობას დააწვება მძიმე ტვირთად – ლუდისა და გამაგრილებელი სასმელების, რძის პროდუქტების წარმოებას, აგრეთვე, პურის საცხობს, რაც თავის მხრივ პროდუქციის თვითღირებულებაზე და შესაბამისად ფასების ზრდაზე აისახება. გაზის ტარიფის ზრდის გამო საგონებელში არიან ჩავარდნილი სხვა საწარმოებიც, თუმცა პრეტენზიების გამოთქმისგან თავს იკავებენ.

**მაგრამ თავს შეიკავებს თუ არა ხალხი, რომელსაც ომით მიყენებულ მძიმე ჭრილობებთან ერთად ფასების ზრდის მორიგი ტალღის მოგერიებაც მოუწევს, საკითხავი აი ეს არის. ეს პრობლემა კი, როგორც ჩანს, არც საქართველოს მთავრობას აღელვებს და, ბუნებრივია, არც რუსულ მედიას.**

ოთარ ხუციშვილი

## ინფორმაცია

### უცნობი ჯარისკაცების ვინაობა უკვე ცნობილია

**როგორც** გარდაცვლილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელმა გივი თარგამაძემ განაცხადა, დნმ-ის პასუხები უკვე გახდა ცნობილი. დნმ-ის პასუხებმა დაადასტურა ამოუცნობი ჯარისკაცების ვინაობა.

ერთი ჯარისკაცი ამ 19-თაგან ამოცნობილი იყო, მაგრამ ოჯახმა გადამოწმების მიზნით გადაწყვიტა ექსპერტიზის ხელახლა ჩატარება. შედეგები ახლობლებს უკვე ეცნობათ.

ეს იმ 19 ჯარისკაცის დნმ-ის პასუხებია, ვისმა დედებმაც ნიმუშები ჩააბარეს. როდესაც დედების ნიმუშებზე ტარდება ექსპერტიზა, გაცილებით მარტივად და სწრაფად ხდება პასუხების მიღება. ხოლო იმ 30 ჯარისკაცის დნმ-ის პასუხების მიღება, ვისმა ოჯახის წევრებმაც დებმა, ძმებმა და ა.შ ნიმუშები ჩააბარეს, უფრო გვიან მოხდება. სავარაუდოდ, ეს 2 კვირაში იქნება, – განაცხადა თარგამაძემ.

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი: რუსეთმა საქართველოს მაგალითს უნდა მიბაძოს

*მსოფლიო გაყოფილია ორად. ერთ მხარესაა ის, ვინც აღფრთოვანებულია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მამაცობის მცდელობით მოუტანოს თავის ქვეყანას დემოკრატია, და მეორეზე ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ მის გამო საერთაშორისო გაერთიანება ამ ზაფხულს ლამის რუსეთთან ომის ზღვარზე აღმოჩნდა. გასულ კვირას სააკაშვილი ესწრებოდა ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის გახსნას. თავისი პოზიცია მან განმარტა ჩვენი გამოცემის ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომლის ნაწყვეტებიც ქვეყნდება ქვემოთ.*



**– ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ ზაფხულს თქვენ დაუშვით შეცდომა, როდესაც გაეცით ბრძანება გაეხსნათ ცეცხლი რუსეთის ჯარებისათვის სამხრეთ ოსეთში?**

– არა. ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრიდან რუსები ამზადებდნენ თავდასხმას. სწორედ მაშინ დაიწყეს მათ ნამდვილი სამხედრო მზადება. ჩვენ ვაფრთხილებდით ევროპასა და დასავლეთს, რომ ადრეულ შემოდგომას უნდა ველოდოთ რუსეთის თავდასხმას.

**– ბევრ ამერიკელს ეშინია, რომ აღმოჩნდება რუსეთთან ომში ჩათრეული.**

– ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვინდოდა ამერიკის ჩათრევა კონფლიქტში. რაც ჩვენ გვინდოდა, ეს იყო – მიგვექცია ამერიკისა და ევროპის ყურადღება ერთობლივი მცდელობისათვის, აგვეცილებინა თავიდან ომი.

**– როგორღა გეგმავთ რუსეთთან ურთიერთობის აგებას?**

– ჩემი აზრით, მთავარია ვაჩვენოთ ნაციონალისტურ ელემენტებს კრემლში, რომ ისინი ვერ მიაღწევენ თავიანთ სტრატეგიულ მიზნებს – საქართველოს მთავრობის გადაყენებას და ცენტრალური აზიის ენერგორესურსების დაპატრონებას. ჩვენ ვერასოდეს ვერ გავუსწრებთ რუსეთს არმიის ტექნიკური აღჭურვილობით, მაგრამ ჩვენ, ეჭვგარეშეა, შეგვიძლია შევეჯიბროთ მას უმთავრეს რამეში – ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ეფექტიანობაში და ვაჩვენოთ რუსებს თავისუფლებისა და დემოკრატიის უპირატესობა.

**– საქართველოს შეუძლია გახდეს დემოკრატიის წარმატებული მოდელის განვითარების ნიადაგი?**

– უსათუოდ... ომამდე ბევრი ლიბერალურად მოაზროვნე რუსისაგან მომისმენია აზრი, რომ რუსეთმა უნდა მიბაძოს საქართველოს ეკონომიკურ მოდელს და გამოიყენოს საქართველოში მიმდინარე კორუფციასთან ბრძოლის საშუალებები... საბოლოოდ, არა საქართველომ უნდა მოახდინოს კაპიტულაცია რუსეთის წინაშე, არამედ ეს რუსეთმა უნდა მიბაძოს საქართველოს და სხვა დემოკრატიების მაგალითს ეკონომიკის ლიბერალიზაციაში და მისთვის მეტი გახსნილობის მინიჭებაში.

**– ფიქრობთ, რომ მათ უარი თქვეს თავიანთ გეგმებზე?**

– მათ უკან დაიხიეს თავიანთი ორი სტრატეგიული ამოცანიდან: შემცვალონ მე და გადაკეტონ ევროპაში ენერგოშემცველების მიწოდება.

**– ახლა რუსეთი აძლევს პასპორტებს (ეთნიკურ რუსებს) ყირიმში?**

– ყირიმში ისინი აკეთებენ აბსოლუტურად იგივეს, რასაც აკეთებდნენ საქართველოში. ვფიქრობ, თუ მათ ეს გაუვათ – საქართველოს ტერიტორიების ანექსია, მაშინ ისინი ამასაც შეეცდებიან...

**– რუსეთი შეეცდება სამხრეთ ოსეთის ანექსიას?**

– მათ უკვე გამოაცხადეს ანექსიის შესახებ, როდესაც მას მიანიჭეს ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, არაფერი ეს დამოუკიდებლობა არაა – ჩემი აზრით, ეს ანექსიაა. თუ მათ ეს გამოუვათ, შემდეგ ისინი წავლენ ყირიმშიც. რუსი ნაციონალისტების აზრით, რუსეთის იმპერიის აღორძინება შეუძლებელია მანამ, სანამ არ დაიბრუნებენ ყირიმს.

**– ესე იგი, რუსეთი ახლა უკრაინისკენ იყურება?**

– ვლადიმერ პუტინი არ მალავს, რომ ყველაზე მეტად უნდა მას მიუტანონ ორი ადამიანის თავი: ვიქტორ იუშჩენკოსი და ჩემი. ისინი მუდმივად ტრაბახობენ იმით, რომ ყოველთვის აღწევდნენ თავისას. უკრაინა – ეს ნამდვილი დემოკრატიაა, რაც მას განსაკუთრებულობას ანიჭებს და რითაც იგი არ ჰგავს რუსეთს.

**– რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ნატოს წევრობა?**

– ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს მხოლოდ ის ნაწილია ევროპულ სტრუქტურებთან და დასავლურ ალიანსთან დაახლოების ყოვლისმომცველი პოლიტიკისა. ამისათვის ჩვენ ბევრი მსხვერპლი გავიღეთ და არასოდეს არ ვიტყვით უარს ამ ოცნებაზე.

**– მაგრამ ნატოს წევრობა ნიშნავს ბირთვული ქოლგის გაფართოებას. ასე რომ, აქ არის საბაბი ერთგვარი შეშფოთებისაც.**

– ვფიქრობ, შექმნილ სიტუაციაში ნატო თავის თავს გააზრებულად შეხედავს.

**– როგორ მიგაჩნიათ, თუ უარს იტყვით ნატოში შესვლის გეგმაზე, რუსეთი დაგანებებთ თავს?**

– აქ საქმე ნატოზე როდია, არამედ ეს არის ორი სისტემის, ორი იდეის, ცხოვრების ორი სტილის კონფლიქტი. რუსეთი ჭეშმარიტად შეშფოთებულია იმის გამო, რომ საქართველო და უკრაინა გახდნენ დემოკრატიული ქვეყნები და რომ ამ ქვეყნებში არსებობს თავისუფალი საზოგადოება.

**– საფინანსო კრიზისმა ისეთ გაქანებას მიაღწია, რომ დღეს ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის არჩევნებიც, ნაკლებმნიშვნელოვნად გვეჩვენება.**

– საბოლოოდ, ჩემი აზრით, ამერიკა გამოვა ამ კრიზისიდან უფრო ძლიერი, ვიდრე სხვა ქვეყნები, ვინაიდან მისი ეკონომიკა ძველებურად უდიდესია მსოფლიოში და მას საფუძვლად უდევს უფრო სრულყოფილი პრინციპები, ვიდრე ის პრინციპებია, რომლებზეც აგებს თავიანთ ეკონომიკას ბევრი ქვეყანა.

**– ამ დროისათვის რა გსურთ თქვენ დასავლეთისაგან?**

– ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი მოგვცემს მხოლოდ მოკლევადიან ეფექტს. რაც ჩვენ ნამდვილად გვინდა – ეს არის ბაზრებში შეღწევა და პოლიტიკური მხარდაჭერა. საქართველო ახლაც შეიძლება იყოს წარმატებული, თუ ადამიანებს არ შეეშინდებათ, მოახდინონ ინვესტიცირება ჩვენს ქვეყანაში.

**– ამბობენ, რომ აგვისტოს კრიზისის დროს მუდმივი ურთიერთობა გქონდათ ჯონ მაკკეინთან.**

– მე ვესაუბრე მაკკეინს. მაგრამ უფრო ნაკლებჯერ არ მისაუბრია ჯო ბაიდენთან. ბაიდენი ჩამოვიდა თბილისში და რამდენიმე დღე იყო ჩვენთან თავისი კანდიდატურის წამოყენებამდე. წამოყენების შემდეგ კი იგი ხშირად მირეკავდა. მე ასევე ბევრჯერ მირეკავდა სენატორი ობამა, ხოლო თავისი კანდიდატურის დასახელებიდან რამდენიმე საათის შემდეგ დამირეკა გუბერნატორმა პელინმა. ასე რომ, ჩვენ ორივე პარტიასთან გვაქვს კონტაქტები.

**– იქნებ თქვენ სათანადოდ ვერ შეაფასეთ პუტინის მზადყოფნა, მოეხდინა თავდასხმა იმასთან დაკავშირებით, რომ ის მაშინ ოლიმპიადაზე იმყოფებოდა?**

– არა. ვფიქრობ, მან სპეციალურად გააკეთა ეს ოლიმპიადის დროს. პატარა ქვეყნისთვის არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე მასზე თავდასხმა ასეთ მომენტში. თავდაცვის მთავარი საშუალება ჩვენთვის – საერთაშორისო ასპარეზზე გამოტანაა. ამ თვალსაზრისით ვერ მოიფიქრებ უფრო არახელსაყრელ დროს, ვიდრე ოლიმპიური თამაშებია, და თანაც ზაფხულში, როდესაც ხელმძღვანელების უმრავლესობა შვებულებაშია. ჩვენთვის ეს იყო ნამდვილი კოშმარი.

**– თქვენ მიგაჩნიათ, რომ რუსეთს მართლაც სურს თქვენი ჩამოგდება?**

– ვფიქრობ, დიახ. მაგრამ მათ ეს არ გამოუვათ. ყველაზე ხელსაყრელი მომენტი ამისათვის იყო აგვისტოში.

**ლელი უეიმაუტი**

Newsweek

# ლეხ კაჩინსკი: დასავლეთმა საქართველოს კრიზისი არასწორად გაიგო

**საქართველოს რუსეთთან ომის დროს არც ერთ ევროპელ ლიდერს არ გაუკიცხია რუსეთი ისე მკაცრად, როგორც ეს გააკეთა პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ.** ამას გარდა ის გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების გეგმების აქტიურ მომხრედ პოლონეთის ტერიტორიაზე 10 გადამტაცი რაკეტის განთავსების შესახებ. ამერიკელმა და პოლონელმა ჩინოვნიკებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ანტისარაკეტო ფარის შექმნის შესახებ მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარები შევიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. გასულ კვირას, გაეროში ჩასვლის დროს პოლონეთის პრეზიდენტი ესაუბრა ენდრიუ ნაგორსკის, „ნიუსვუიკის" ყოფილ მთავარ რედაქტორს, ამჟამად კი ინსტიტუტის „აღმოსავლეთი-დასავლეთი" დირექტორს სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში. ვბეჭდავთ ამონარიდებს ინტერვიუდან.

**– რა გაკვეთილი გამოიტანეთ რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტიდან?**

– ჯერ ერთი, რუსეთს სურდა მოეხდინა ორი პროვინციის ანექსია. მეორეც, ჰქონდა მთავრობის გადაყენების მცდელობა. დასავლეთმა მიაღწია ერთს: მან არ დაუშვა მთავრობის გადაყენება. მესამეც, მომხდარს ჰქონდა ევროპისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. მე რამდენიმე წელიწადია ვიბრძოდი ნავთობისა და გაზის აზერბაიჯანიდან მოწოდების ალტერნატიული გზების შესახებ, მომავალში კი, შეიძლება, თურქმენეთიდან და ყაზახეთიდანაც დიდი ოდენობით, რუსეთის გვერდის ავლით. საქართველოზე თავდასხმამ გაართულა ეს ამოცანა.

**– დარწმუნებული ხართ, რომ რუსებს სურდათ საქართველოს მთავრობის გადაყენება?**

– დიახ. ჩემი ჩარევის, აგრეთვე ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის პრეზიდენტების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული მონაწილეობის წყალობით, რამაც გამოიწვია ნატოს და – უფრო მცირედი სურვილით – ევროკავშირის ჩარევით შესაძლებელი გახდა, რომ რუსეთი არ წასულიყო უფრო შორს. რუსები ყოველთვის მოქმედებენ ისე, რომ ირჩევენ სხვადასხვა ვარიანტებს. ამ შემთხვევაში ეს ვარიანტი იყო მათთვის უფრო ოპტიმალური. მათ დატოვეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორია (დედანში ასეა – რედ.), რათა მოეხდინათ საქართველოს ნაწილის ანექსია. რუსებმა აშკარად აჩვენეს დასავლეთის უსუსურობა. ეს საშინელებაა, ვინაიდან დასავლეთი უფრო ძლიერია, ვიდრე რუსეთი.

**– ხომ არ დაუშვა საქართველომ უზარმაზარი შეცდომა, როდესაც 7 აგვისტოს თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს?**

– მოხდა ამ შეცდომის პროვოცირება. ეს იყო ძალის შემოწმება და რუსეთმა აჩვენა ის სახე, რისი ჩვენებაც სურდა – იმპერიული სახე. ახლა შეექმნა საფრთხე უკრაინას. ჩვენ ვერ ვნახავთ ვარშავის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირის აღორძინებას. ეს უბრალოდ ძველი რუსეთია.

**– თქვენმა პირადმა მონაწილეობამ ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ თქვენ ხართ ყველაზე ანტირუსული ლიდერი ევროპაში. ასეა ეს?**

– მე რაციონალისტი ვარ და არა რუსეთის მოწინააღმდეგე. მე ვითვალისწინებდი ამ სახიფათო ტენდენციებს მრავალი წლის განმავლობაში, ელცინის ეპოქის ბოლოდან. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ იმპერიების დრო წარსულს ჩაბარდა.

**– ბევრი ევროპელის აზრით, თქვენ ძალიან შორს შედიხართ კრიტიკაში რუსეთის მიმართ.**

– მე ძალიან შორს არ შევდივარ. ეს სიტუაცია ძალიან გვაგონებს მიუნხენს. ის, ვინც მაშინ ცდილობდა ჰიტლერის დამშვიდებას, მტკიცედ იყო დარწმუნებული თავის საქმეში. დრომ სულ სხვა რამ აჩვენა. მაგრამ სრულიად ზუსტი ანალოგიები არ არსებობს. ამჟამად ჩვენ არ გვემუქრება რუსეთის შემოჭრა.

**– პოლონეთის მთავრობა პრემიერ-მინისტრის დონალდ ტუსკის მეთაურობით ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო ფარს უფრო ნაკლები ენთუზიაზმით უმზერს, ვიდრე თქვენ.**

– მე გავიმარჯვე (იღიმის).

**– ეს მოხდა საქართველოში კონფლიქტის გამო?**

– დიახ, ეს ასეა. მე მხარს ვუჭერ ანტისარაკეტო ფარს არა იმ რწმენის გამო, რომ ირანი მიაყენებს ბირთვულ დარტყმას ან რომ ეს არის რუსეთთან ბრძოლის საშუალება, არამედ იმის გამო, რომ იგი აღრმავებს ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესებას ამ რეგიონით. ჩემი ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება შეერთებულ შტატებთან მაქსიმალურად ახლო ურთიერთობანი.

Newsweek

# „ცუდად გაზრდილი და ერთობ თავმოყვარეა"

**„სამუშაო დღის საღამო იდგა. მეგობართან ერთად ვიჯექი ძველი თბილისის პატარა ფრანგულ კაფეში. უცბად მუქკოსტუმებიანი მამაკაცები შემოვიდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი იქაურ ადმინისტრატორს გამოელაპარაკა. მერე შემოსულებმა მაგიდებს ჩამოუარეს და მომსვლელთ კაფეს დატოვება სთხოვეს.**

მორჩილად დავაპირეთ გასვლა, მაგრამ კართან ჩემი მასპინძელი შეხვდა ნაცნობს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დაცვის უფროსი აღმოჩნდა. მან თავაზიანად შემოგვთავაზა დარჩენა და ჩვენც მივბრუნდით ყავის დასამთავრებლად.



მალე თვით ბატონი მიხეილიც შემობრძანდა ყოფილი თავდაცვის მინისტრისა და რომელიღაც მინისტრის თანხლებით. იმათთან კიდევ ორი მანდილოსანი იყო, აშკარად სახელმწიფო დონისა. მაგიდას მიუსხდნენ და საკმაოდ ხმამაღლა დაიწყეს რაღაცაზე ლაპარაკი და სიცილი. შემდეგ კი დაცვის უფროსის მეშვეობით მიგვიხმეს.

დასხდომა არ შემოუთავაზებიათ. თანაც როცა უკვე ვეახლეთ, მაშინვე არ მოგვსალმებიან – ერთმანეთთან საუბარს განაგრძობდნენ. ჩემი მეგობრისა და ჩემთვის უხერხული და დამამცირებელი პაუზა ჩამოდგა. პრეზიდენტი იჯდა სავარძელში გაშხლართული. მოულოდნელად მოსწყდა ლაპარაკს და პოზის შეუცვლელად ჩამოართვა ხელი ჩემს მხლებელს. ის ქართულად ლაპარაკობდა, ჩემმა მეგობარმა რუსულად უპასუხა. მე რომ წარმადგინა, ბატონმა მიხეილმა მზერა მომაპყრო და ისევ შეურხევლად მითხრა: „გამარჯობათ, მოგწონთ საქართველო?" – თანაც ეს თითქმის დამახასიათებელიქართული აქცენტის გარეშე გამოუვიდა. ვუპასუხე, რომ საქართველო ძალიან მომწონს. „ჰო, – თქვა მან, – კარგი ქვეყანაა, მე კი მისი პრეზიდენტი ვარ".

ცხადი გახდა, რომ არც პოზას შეიცვლიდა და არც ჩამოჯდომის წინადადებით შეიწუხებდა თავს. მაშინ ზრდილობიანად და ლამის ქედმოდრეკით ვუთხარი: „მე კი მწერალი გახლავართ, რაც რუსეთში ზოგადად უფრო მეტია, ვიდრე საერთოდ მწერალი". ვთქვი, რომ მოხარული ვარ გაცნობისა, მოვუბოდიშე და დავსძინე – ყავას მივუბრუნდები-მეთქი.

მაშინ პირველად შევხვდი თბილისში ისეთ ქართველს, რომელშიც კეთილმოსურნეობა არ ჩანდა, რომელსაც არ გააჩნდა თბილისელი მამაკაცებისათვის დამახასიათებელი პეწი. ეტყობოდა, რომ ის „ცუდად გაზრდილი და ძალიან თავმოყვარე ბრძანებულა".

რუსეთელი მწერლის ევგენი გრიშკოვეცის მიერ აღწერილი ეს შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან შემდგარა წლინახევარზე მეტი ხნის წინათ (ქართველ მეგობარს არ ასახელებს.) თავისი შთაბეჭდილებები კი მკითხველს მხოლოდ ახლახან, სამხრეთ ოსეთის ამბების დროს გაუზიარა რუსეთულ ჟურნალში. მაგ კალამდალოცვილი მაინცდამაინც ამ საზარელ ომს ელოდა მიხეილ სააკაშვილის პორტრეტის შტრიხების მოსახაზად, მაინცდამაინც ახლა იხსენებს სავარძელში მის გაშხლართვით ჯდომასა თუ გამძაფრებულ თავმოყვარეობას? ამასაც ხომ არ ჰქვია ცეცხლზე ნავთის დასხმა?

... კაი წლინახევრიანი ჩასაფრება სცოდნია ევგენი ვიღაცის ძეს...

**თამაზ ეზანოიძე**

◎ იცოცხლე, ჯანსულ!

# რომ სიცილიც ზოგჯერ ცრემლზე მწარეა



**შორიდან შევამჩნიე: ჯანსულ ჩარკვიანი დგას და რამდენიმე ჩვენს საერთო მეგობარს, სიტუაციას ეტყობა, რაღაც სახალისოს უყვება, ხელის აწევით მესალმება და, თავიდან დავიწყებ, ამანაც მოისმინოს (რამხელა პატივია), ეუბნება შეკრებილთ:**

— წუხანდელ სიზმარს ვუყვებოდი ბიჭებს, — ჩემკენ აქვს მზერა, — ცხონებული ნოდარ დუმბაძე მესიზმრა: ჩემთან იყო სახლში, ტუალეტში შესვლა მოუნდა, მივყევი კართან და ვეუბნები, ემანდ ფრთხილად, ნოდარ, საქართველოში უკანალის ბათქაბუთქიც კი იწერება... რა თქმა უნდა, არ დაიბნა ნოდარი:

— ჯანუკა, ძამა, ისეთ დემოკრატიულ საქართველოს რა ვუთხარი, სადაც უკანალის ბათქაბუთქიც კი აკრძალულია.

ვიცინით გულიანად, მერე ერთ-ორ პოლიტიკურ ანეკდოტსაც „ახვევს“ ჯანსული და...ასე ვიშლებით...

მივდივარ და მიმყვება ფიქრი ჯანსულ ჩარკვიანზე, ჭეშმარიტ პოეტზე, რომელიც ჯერ კიდევ როდის ამბობდა: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი“, დღესაც რომ ახალგაზრდული შემართებით, სიცოცხლის ხალისით ავსებს ჩვენს (მეგობრებისძ ყოველდღიურობას. მართალია, ძველებურად აღარ თამადობს, მაგრამ ქართულ სუფრასთან, მაინც სწორუპოვარია... ხომ ასე ლიმილიანია, ხომ ასე ანეკდოტების „ხურჯინით“ დადის, ჯანსულს, ჩემი აზრით, ზუსტად ესადაგება სულმნათი აკაკის: „რომ სიცილიც ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“. აბა, მისი გაუბედურებული და დაჩოქილი სამშობლოს შემყურეს, რა ემხიარულება, საქვეყნო თუ ოჯახური პრობლემების გამო, რა ეანეკდოტება, მაგრამ სიცილი წუთით მაინც ავიწყებს ამ ტკივილებს...

ასე მოვიდა ორი შვიდიანი, ასე მოიყარა 77 წლისა...

ამ რამდენიმე დღის წინათ, ვითომ არ ვიცნობდით, ასე „გაგვაცნო“ თავისი პორტრეტი:

**მე მცივანა ქართველების ნაზადი ვარ,**
**ეს ცხოვრება მართლა არის, თურმე, მწარე,**
**მე არავის დაძახილზე არ დავდივარ,**
**მე ვეკუთვნი — უწმინდესს და უნეტარესს!**

მისი მადლი გფარავდეთ, ჯანსულ ბატონო!

◎ კარგი საქმე

# თოვლქვეშ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა...



**ეს ნიკო ჯადუგიშვილია —** ცნობილი საესტრადო მომღერალი („თინეიჯერებისთვის“ არც ისე ცნობილიძ, სიყვარულის, ლხინის კაცი, ერთ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (ახლა „ჩარეცხილი“ძ, გონიერი ისტორიკოსი, სცენის გარდა, არქივებშიც რომ უყვარდა ტრიალი. სწორედ არქივებში მიაკვლია მან ბევრ საგულისხმო დოკუმენტს ტრაგიკული ბედის პიროვნების ვახტანგ VI და მის მემკვიდრეთა ურთიერთობის შესახებ.

**— ეს დოკუმენტები, — მიამბობს ნიკო ჯადუგიშვილი, — გადავეცი აკადემიკოს როინ მეტრეველს, მან დაამუშავა და წიგნად შეკრა, რისთვისაც მადლობის მეტი რა მეთქმის. თავის დროზე ცენზურამ ამ მასალებში „რაღაც-რაღაცები“ „ალმოაჩინა“. მაგალითად, როგორ იბარებს ვახტანგ მეფე, რომ თავისი ქალიშვილი მარიამი რუსისთვის არ მიეთხოვებინათ და კიდევ სხვა ამბები...**

ახლა, ეს ყოველივე, შეიკრა და გამოვიდა შესანიშნავი პუბლიკაცია, რომელიც მკითხველს უთუოდ დააინტერესებს. ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ბედით შეძრწუნებული ქართლის მეფის ამონაკვნესი: **„მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ“** დაურქმევიათ ავტორებს წიგნისთვის, რომელიც „არტანუჯმა“ გამოსცა და რედაქტორია ბუბა კუდავა.

ჩემმა ნიკომ ახალგაზრდობის სურათი კი მოიტანა რედაქციაში, მაგრამ, ცხადია, ის წლებიც გავიხსენეთ, წლები, როდესაც ნიკო ჯადუგიშვილი „მოდაში“ იყო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზიდან დაიწყო, მერე იყო უნივერსიტეტის წლები და ისტორიის ფაკულტეტი, მხატვრული თვითშემოქმედების საღამოები და ნიკოს გამოსვლები, მერე პოპულარული ანსამბლი „რერო“, მოგზაურობა შინ და გარეთ, ახალგაზრდა მომღერლის ნიჭის აღიარება... დღესაც დაუვიწყარია ეთერ კაკულიასთან დუეტში შესრულებული: „გავუყუჩდები და იმედი მაქვს ამ გულისა, თოვლქვეშ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა“.

ჩემს უნივერსიტეტელ მეგობარზე, როგორც მომღერალზე, ჩემდა სამარცხვინოდ, სტრიქონი არ დამიწერია. ჰოდა, თითქოს, ამ წიგნის გამოსვლას ველოდი, დღეს, როცა უკვე ცხოვრების თავდაღმართში ვართ ორივენი, როცა ზამთარი კარს მოგვდგომია, მაგრამ მაინც გვჯერა, „თოვლქვეშ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა“.

სჯობს გვიან...




◎ შუქ-ჩრდილი



# გაახლებული „ალექსანდრეს ბაღი“ და ჩვამანიას გასაჭირი

**რუსთაველის გამზირის „გაქვავების“ პარალელურად „ვარდოსნები“ დედაქალაქის ბაღებსა და პარკებს „აქვავებდნენ“ და აი, ერთ-ერთი „გაქვავებული“, ანუ ერთიანად ქვაში ჩასმული „ალექსანდრეს ბაღის“ ქვედა მხარე ახლახან საზეიმოდ გახსნეს.** იდგა ნორჩებისა და მოზარდების ჟივილხივილი, ახალგაზრდებისა თუ ძველგაზრდების ხალისიანი განწყობილება და ეს, დიახაც, სასიამოვნო საცქერი იყო საქართველოს უბედურებისა და გლოვაკაეშნის ფონზე, უცხოეთიდან შემოტანილი ულამაზესი ფარნების შუქზე... მობრძანდა ბატონი გიგიც თავისი „რაზმითა“ და ტელეკამერებით, ისეირნა ბაღის ლაბირინთებში და უკეთეს და უკეთეს დასასვენებელ ადგილებს დაჰპირდა თანაქალაქელებს...

როგორც გავიგეთ, „ალექსანდრეს ბაღის“ გაახლება ბარე 5 მილიონი დოლარი დამჯდარა, „გაქვავებას“ ხომ ქვა უნდოდა? საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული უძვირფასესი ქვა, კი, ეტყობა, ვერ აკმაყოფილებს „ვარდოსნების“ გემოვნებას და ჩინეთიდან ეზიდებიან და ეზიდებიან, რაც, რა თქმა უნდა, „მოსატეხად“ გაცილებით ადვილია მავანთათვის. ძელსკამებიც კი ჩინური წარმოებისა ყოფილა, აბა, ქართველებს ვინ ანდობდა მათ დამზადებას?!

... ჩვენი უბნის „პარლამენტმაც“ დაიკავა რამდენიმე ძელსკამი წრეში — მყუდრო ადგილას. ვსხედვართ, ვბაასობთ და, ვაი, უცებ, უკაცრავი პასუხია, ჩვამანიას მოშარდვა მოუნდა... აღმოჩნდა, რომ ამ ხუთ მილიონად გაახლებულ ბაღში ერთი უბრალო ტუალეტის ადგილი ვერსად მონახეს მშენებლებმა. ჩვამანიაც, სხვა რა გზა ჰქონდა, გინებ-გინებით, იქვე, რესტორნის ტუალეტში შევიდა მოსასაქმებლად. ჩვამანიას დღეში, რა გასაკვირია, რომ სხვა დროს, სხვებიც ჩავარდნენ, ამიტომ ტუალეტი აუცილებლად უნდა მიუმატონ აქაურობას მშენებლებმა!



◎ მესხეთში „შოთაობა“ აღდგა

**დღესაც კარგად მახსოვს 1966 წლის 26 სექტემბერი — პოეზიის თაყვანისმცემელთა მოზღვავებული ნაკადი მთელი საქართველოდან, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეოდ მის ნააკვნარზე — სოფელ რუსთავსა და ვარძიაში.**

იმ დღეებში სრულიად საქართველო „ვეფხისტყაოსნით“ ცხოვრობდა (და არა მარტო მაშინძ, პოეზია იყო ყველაზე ახლობელი თითოეული ჩვენგანისთვის. ეს მუხტი დიდხანს გაჰყვა ქართველ ერს და იმ წლიდან მოყოლებული ტრადიცულადქცეული „პოეზიის დღე — შოთაობა!“ ყოველწლიურად იმართებოდა სოფელ რუსთავსა და იყალთოში, თუმცა, უკანასკნელ ოცწლეულში, ეს ტრადიცია მესხეთში დავიწყებას მიეცა. მხოლოდ ორჯერ — 1991 და 2004 წელს აღინიშნა, ისიც ულიმღამოდ.

თვალებგაბრწყინებულია ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ჭეშმარიტი მესხი, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარი რედაქტორი ავთანდილ ბერიძე და გვიყვება: — სამცხეთ-ჯავახეთის რეგიონის შემოქმედებით ინტელიგენციასთან საქართველოს პირველი ლედის, ქალბატონ სანდრა (ელისაბედძ რულოვსის შეხვედრის დროს, სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ბატონ გოგა ხაჩიძის ინიციატივით გადაწყდა, რომ ყოველწლიურად აღინიშნოს „შოთაობის“ ტრადიციული დღესასწაული.

— სამწუხაროდ, აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, სათუო გახდა მისი საზეიმო აღნიშვნა, თუმცა ახლახან გადაწყდა, რომ აგერ, **ერთ თვეში, 25 ოქტომბერს ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში გაიმართოს „პოეზიის დღე — შოთაობა!“**

დღესასწაულს რომ მეტი ინტერესი მიეცეს, — გვითხრა ავთანდილ ბერიძემ, — ჩვენი რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს საუკეთესო ლექსისა და თარგმანისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დრო ძალზე შეზღუდულია, იმედი გვაქვს, ქართული სიტყვის ოსტატები ოპერატიულად გამოგვეხმაურებიან და მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.

ახლა, თუ ნებას მომცემთ, მკითხველს დავუკონკრეტებ კონკურსის პირობებს:

**— საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით (ცალკე კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, ცალკე — ავტორის ვინაობა).**

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ„ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა.**

**საკონკურსო მასალა, არა უმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა, უნდა გამოიგზავნოს 2008 წლის 17 ოქტომბრამდე.**

**დაწესებულია პრემიები:**

**პოეზიაში:**

**ერთი სპეციალური პრემია საქართველოს პირველი ლედის — სანდრა (ელისაბედ) რულოვსისაგან;**

**I პრემია — 700 ლარი (ასპინძის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობისაგან);**

**II პრემია — 500 ლარი (ახალციხის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობისაგან);**

**III პრემია — 300 ლარი (სსპი ახალციხის ინსტიტუტისაგან);**

**თარგმანზე:**

**I პრემია — 700 ლარი (ნინოწმინდის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობისაგან);**

**II პრემია — 500 ლარი (ახალქალაქის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობისაგან);**

**გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2008 წლის 25 ოქტომბერს — „პოეზიის დღის — შოთაობის“ სახალხო დღესასწაულზე.**

**საკონკურსო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე:**

**00500, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3,**

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია**

**ტელ: 899-979524**

— მაშ გილოცავ, ჩემო ავთო, ჩვენი რედაქცია ულოცავს მთელ მესხეთს, მთელ საქართველოს ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულის აღდგენას... იმედია, დაგვპატიჟებთ ასპინძაში.

**— უკვე დაპატიჟებული ხართ...**

## გფარავდეს რუსთაველის სიბრძნე!



ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ეროვნული ჩემპიონატი. III ტური.**
„ლოკომოტივი“ – „დინამო“ 1:0 (გუშარაშვილიძ. „ცხინვალი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:1 (კვალინაძეძ. „გაგრა“ – „მგლები“ 2:0 (დათუნაშვილი, მგელაძეძ. „ზესტაფონი“ – „მესხეთი“ 0:1 (ლეკიშვილიძ. „ბორჯომი“ – „სიონი“ 0:0. ისვენებდა „ოლიმპი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია“ – 9, „ლოკომოტივი“, „გაგრა“ – 6-6, „ზესტაფონი“, „სიონი“, „მესხეთი“ – 4-4, „დინამო“, „მგლები“ – 3-3, „ოლიმპი“– 2, „ბორჯომი“ 1, „ცხინვალი“ – 0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ბორჯომი“ – „გაგრა“, „სიონი“ – „მესხეთი“ (30 სექტემბერსძ, „დინამო“ – „ოლიმპი“, „მგლები“ – „ცხინვალი“, „ვიტ ჯორჯია“ – “ლოკომოტივი“ (1 ოქტომბერსძ.

* * *

**ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდი. ბოლო ტური.** ბოსნია – საქართველო 1:0. ჩვენმა გუნდმა ბოლო ადგილი დაიკავა თავის ჯგუფში.

**იტალია. V ტური.** „ტორინო“ – „ლაციო“ 1:3, „ბოლონია“ – „ნაპოლი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლაციო“ – 12, „ნაპოლი“ – 11 ქულა.

**ბომბარდირები:** მილიტო („ჯენოა“ძ, მიკოლი („პალერმო“ძ, სარატე, პანდევი (ორივე – „ლაციო“ძ – 4-4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლაციო“ – „ლეჩე“, „ჯენოა“ – „ნაპოლი“.



**ესპანეთი. V ტური.** „ვალენსია“ – „დეპორტივო“ 4:2, „ხიხონი“ – „ვალიარეალი“ 0:1, „ბეტისი“ – „რეალი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვალენსია“, „ვილიარეალი“ – 13-13, „რეალი“ – 12 ქულა.

**ბომბარდირი:** ვილია („ვალენსია“ძ – 6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ვალიადოლიდი“ – „ვალენსია“, „ვილიარეალი“ – „ბეტისი“, „რეალი“ – „ესპანიოლი“.

**ინგლისი. VI ტური.** „სტოკი“ – „ჩელსი“ 0:2, „ევერტონი- – „ლივერპული“ 0:2, „ასტონ ვილა“ – „სანდერლენდი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“, „ლივერპული“ – 14-14, „ასტონ ვილა“ – 13 ქულა.

**ბომბარდირები:** ზაკი („უიგანი“ძ, აგბონლაჰორი, კარეუ (ორივე – „ასტონ ვილა“ძ – 4-4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჩელსი“ – „ასტონ ვილა“, „სიტი“ – „ლივერპული“.

**გერმანია. VI ტური.** „ჰამბურგი“ – „გლადბახი“ 1:0, „ბოხუმი“ – „ლევერკუზენი“ 2:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰამბურგი“ – 13, „ლევერკუზენი“ – 12 ქულა.

**ბომბარდირები:** ჰელმესი („ლევერკუზენი“ძ, იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმიძ – 7-7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „კოტბუსი“ – „ჰამბურგი“, „ლევერკუზენი“ – „ჰერტა“.

უეფას სიახლენი

# ალბათ, ფეხბურთისთვის აჯობებს




**ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ – უეფამ ამ დღეებში რამდენიმე ნოვატორული გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც, მის ავტორთა აზრით, ხელი უნდა შეუწყოს სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის შემდგომ სრულყოფას.**

უპირველესად, აღსანიშნავია საფრანგეთის ქალაქ ბორდოში გამართულ უეფას აღმასკომის სხდომაზე დამტკიცებული კონტინენტის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ახალი ფორმატი, რომლის მიხედვითაც 2016 წლიდან აღნიშნულ ფორუმზე ახლანდელი 16-ის ნაცვლად 24 ეროვნული ნაკრები ითამაშებს.

ისინი 6 ოთხგუნდა ჯგუფში გადანაწილდებიან, ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული 12 გუნდი კი 4 საუკეთესო მესამეადგილოსანთან ერთად ერთმანეთთან მერვედფინალებში დაწყვილდება. საერთო ჯამში მატჩების რაოდენობა 31-დან 51-მდე გაიზრდება და მათ გამართვას 29-31 დღე დასჭირდება, თუმცა იმასაც გაუწყებთ, რომ შეხვედრა III ადგილისათვის არც ახალ ვარიანტშია გათვალისწინებული და ბრინჯაოს მედლები ორივე დამარცხებულ ნახევარფინალისტს გადაეცემა.



რაც შეეხება საკვალიფიკაციო რაუნდს, იგი ძველებური სისტემით მოეწყობა და ევროპის 53 ნაკრები ფინალური ეტაპის საგზურებს ისევ 5 და 6 გუნდა ჯგუფებთან გაინაწილებს.

„ვიმედოვნებთ, ეს ისტორიული გადაწყვეტილება, რომლის ინიციატორიც უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი გახლავთ, საშუალო რანგის გუნდებს ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსებს გაუზრდის“, – ნათქვამია უეფას ოფიციალურ განცხადებაში.

დავძენთ, რომ ამავე სხდომაზე უეფას აღმასკომმა პოლონეთსა და უკრაინას „ევრო – 2012“-ის ფინალური ბატალიების მასპინძლობა შეუნარჩუნა, თუმცა მოუწოდა, დააჩქარონ მოსამზადებელი სამუშაოები.

კიდევ ერთი სიახლე უეფას თასის გათამაშებას შეეხო, რომელსაც მომავალი 2009-2010 წლების სეზონიდან უეფას ევროპის ლიგა დაერქმევა და მას ახალი ლოგო ექნება.

უეფას ევროპის ლიგაში მონაწილეობას 48 კლუბი მიიღებს, რომლებიც პირველ ჯგუფურ ეტაპზე 12 ოთხგუნდა ჯგუფად განაწილდებიან. ისინი ერთმანეთს არა თითოჯერ, როგორც ახლაა, არამედ ორჯერ შეხვდებიან: შინ და სტუმრად. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული 24 გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის შედეგად გამოვლენილ 8 მესამეადგილოსანთან ერთად „პლეი-ოფის“ სტადიაში ჩაებმება. ახალი ფორმატით, ამ ტურნირში ეროვნული თასის გათამაშების ფინალში დამარცხებული გუნდები ველარ ითამაშებენ.

რაგბი

# დირსეულნი



**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პოლონეთში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი მძაფრ ბრძოლაში 28:31 წააგო რუმინეთის გუნდთან, II ადგილი დაიკავა და 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა, რომელსაც გაისად კენია უმასპინძლებს.**

მიუხედავად გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხებისა, „ბორჯღალოსნებს“ მაინც ქება ეკუთვნით, რამეთუ ნახევარფინალში რუსული დათვი დატორეს – 37:0, სხვათა შორის, სწორედ ჩრდილოელებთან მატჩში დაშავდნენ ჩვენებურთა ლიდერები კოლელიშვილი, მეტრეველი და ჯოგლიძე, რამაც გარკვეულწილად დაგვაზარალა კიდეც ფინალში.

ჭადრაკი

# ვაკანსიები შეივსო

**როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ქალთა ოლიმპიურ ნაკრებში ადგილები ადრევე დაიბევეს მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, ლელა ჯავახიშვილმა და ნანა ძაგნიძემ, დანარჩენი ორი ვაკანსიის დასაუფლებლად კი ხუთმა პრეტენდენტმა დამატებით მატჩ-ტურნირი გამართა.**

საბოლოოდ ორწრიანი ასპარეზობის გამარჯვებული უკეთესი კოეფიციენტის წყალობით მაია ლომინეიშვილი გახდა – 4,5 ქულა. ასეთივე შედეგით დაასრულეს ბრძოლა სოფიკო ხუხაშვილმა და სალომე მელიამ. მათი ტაი-ბრეიქის ორივე პარტია ხუხაშვილმა მოიგო და ოლიმპიადაზეც ის ითამაშებს.



ინტერნეტიდან

## პირველად – ფანრების შუქზე




**ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი სინგაპურში იმართებოდა და თანაც ისევ პირველად – ღამით.**

მართალია, მიუჩვეველი ქალაქის ქუჩებში, ისიც ღამით, გადასწრება მაინცდამაინც ადვილი არ იყო, მაგრამ პილოტები ამას არად დაგიდევდნენ და მეტად უკომპრომისო ბრძოლა გამართეს პირველობისთვის, რასაც ავარიებიც არ აკლდა.

როდესაც ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ესპანელი ფერნანდო ალონსო უკვე ფინიშისაკენ მიემართებოდა, ჯერ მანქანა დაამსხვრია „ფორს ინდიის“ პილოტმა ანდრიან სტუპმა, რითაც დიდად შეუშალა ხელი ფელიპე მასას წინსვლას, შემდეგ კი თავად ფერარელის თანაკლუბელი კიმი რაიკონენი მოხვდა ავარიაში, თუმცა მისი ბოლიდი სასწრაფოდ გაიტანეს ტრასიდან და რბოლა განახლდა.

ყველას ეგონა, რომ ამით ისარგებლებდა ჰემილტონი, მაგრამ მან როგორც ჩანს, „ამჯობინა“ ფინიშთან მესამედ მისვლა. მეორე იყო ნიკო რაისბერგი „უილიამსიდან“, რაც მისთვის პირველი დიდი გამარჯვება იყო.

## ბერლინი მისთვის ბედნიერების ქალაქია



**ასე განაცხადა გამოჩენილმა ეთიოპიელმა მორბენალმა ჰაილე გებრასელასიემ – ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონმა 10 000 მეტრზე სირბილში, ერთხელ კიდევ რომ დაამყარა მსოფლიო რეკორდი ბერლინის საერთაშორისო მარათონზე – 2.03.59.**

მან მსოფლიო რეკორდი 2.04.26 – შარშანაც დაამყარა ისევ ბერლინში, სწორედ ამიტომ განაცხადა პრეს-კონფერენციაზე შეჯიბრების წინ: „ბერლინი ჩემთვის ბედნიერი ქალაქია, ვიცი, რომ 2.04-ზე უკეთ ვირბენ, თუმცა ბევრი ფაქტორია გადასალახი“.

ბერლინის მარათონი ერთ-ერთი უდიდესი და პრესტიჟული შეჯიბრებაა და შესაძლოა, მხოლოდ დიდ სამეულს – ნიუ-იორკის, ლონდონისა და ჩიკაგოს – ჩამორჩება, თუმცა აქ უფრო ამყარებენ მსოფლიო რეკორდებს.

ეთიოპიელმა ბერლინში ზედიზედ მესამე გაიმარჯვა.

## ზიკო მუშაობას შეუდგა



**ამას წინათ ვწერდით, რომ ტაშკენტში სამუშაოდ ჩავიდა ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო.**

ალბათ გახსოვთ, ის ადრე სათავეში ედგა იაპონიის ნაკრებსა და თურქულ „ფენერბახჩეს“.

ახლა კი ის ტაშკენტის „მუდენკორის“ მწვრთნელი იქნება 2009 წლის ბოლომდე.

ბრაზილიელმა შეცვალა მირჯალოლ კასიმოვი, რომელსაც უზბეკეთის მთავარი ნაკრები მიანდეს.

## გახდება მრავალშვილიანი დედა?

**როგორც იტალიურ პრესას განუცხადა, ამაზე ოცნებობს ცნობილი იტალიელი მოდელი როზარია კანავო – „რომას“ მცველის კრისტიან პანუჩის „დაქალი“ და „სამპდორიის“ თავდამსხმელის ანტონიო კასანოს ყოფილი შეყვარებული. ამ ლამაზმანს, მთელი იტალია რომ იყო შეყვარებული მის პროგრამაზე, სისტემატურად იწვევენ სხვადასხვა ფოტოსესიებზე, კალენდრებისთვის გადასაღებად და მისი გაშიშვლებული ფოტოებით დამშვენებული ეს გამოცემები წუთში ქრებიან დახლებიდან.**



როდესაც მას ჰკითხეს, თუ რაზე ოცნებობს, უმალ უპასუხა – „ექვსი შვილი მინდა“.

ჭორების საპასუხოდ, თითქოს ის პანუჩის გაშორდა, მოდელმა უპასუხა, რომ ისინი ერთად არიან ორი წელი და მშვენიერი ურთიერთობა აქვთ.

ორი დიდი იუბილე

# სტურუა თავის თეატრზე უმცროსია...

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ასოცდამეათე სეზონი გაიხსნა. იგი დაუკავშირდა ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც — გამოჩენილი რეჟისორის რობერტ სტურუას დაბადებიდან 70 წლისთავს. ამიტომაც თეატრმა გადაწყვიტა სეზონი რეჟისორის სპექტაკლების რეტროსპექტივით გაეხსნა. საიუბილეო კვირეულის დაწყების წინ კი თეატრის ფოიეში რობერტ სტურუას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამსახველი ფოტოგამოფენა გაიხსნა.**



— ექსპოზიციის მოსამზადებლად ცოტა დრო იყო და ამისთვის თეატრისა და ჩვენი მუზეუმის ყველა თანამშრომელმა განსაკუთრებული სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოინდომა, მეტადრე კი დიდი შრომა გასწია გოგი ალექსი-მესხიშვილმა მირიან შველიძის, თემო ნინუას, მერაბ მერაბიშვილის თანადგომით, აღნიშნა გამოფენის გახსნისას თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ.

—ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილია უმეტესად თეატრის მუზეუმის ფონდებში დაცული მასალები. ნაწილიც ოჯახებიდან არის მოტანილი, დამთვალიერებელი ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს რობერტ სტურუას სპექტაკლების ესკიზებს, კოსტიუმებს, აფიშებს, პროგრამებს, ფოტოებზე აღბეჭდილია სპექტაკლებზე მუშაობის სხვადასხვა მომენტები, აქვეა მეგობართა წრეში გადაღებული ფოტოები, კარიკატურები.

— აქ არის ყველაფერი, რის გაკეთებაც შეძლო თეატრმა 30 წლის განმავლობაში, ყველაფერი ნაჩვენებია. ზოგი რამ მეც პირველად ვნახე, თუმცა ამის შესახებ ვიცოდი, მაგრამ ამით არ მთავრდება ჩემი პიროვნება, კიდევ ბევრი რამის გაკეთებას ვფიქრობ, — თქვა იუბილარმა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ თითქმის მზად არის და დაინტერესებული ადამიანები უახლოეს ხანში მიიღებენ რობერტ სტურუას შემოქმედების ამსახველ ალბომს ორ წიგნად.

საიუბილეო კვირეული თეატრის მოყვარულებს სთავაზობს რობერტ სტურუას ბოლო პერიოდის საუკეთესო დადგმებს. იგი საქველმოქმედო ფონდ „ერთგულებასთან“ ერთად ეწყობა და შემოსული თანხა მოხმარდება კონფლიქტურ ზონაში დაზარალებულთა ოჯახებს. კვირეული გაიხსნა 26 სექტემბერს „კაცია ადამიანით“, რომელსაც რობერტ სტურუა თავის ერთ-ერთ საყვარელ სპექტაკლად მიიჩნევს და ამბობს, რომ თავის სპექტაკლებში, თუნდაც „კაცია-ადამიანში“ მან წინასწარ თქვა ის ყველაფერი, რაც აგვისტოში საქართველოში განვითარდა.

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „სტიქსი“, რომელიც გია ყანჩელის მუსიკაზეა შექმნილი და ეძღვნება ამ ცხოვრებიდან ნაადრევად წასულ ადამიანებს, ამ დღეს „სტიქსმა“ ახალი დატვირთვა შეიძინა. იგი ორკესტრის ცოცხალი შესრულების თანხლებით წარიმართა და შეეხმიანა აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს და გაჟღერდა როგორც რეკვიემი.

კვირეულის ფარგლებში მაყურებელი ნახავს აგრეთვე „მტრის ნიღაბს“, „შობის მეთორმეტე ღამეს, ანუ როგორც გენებოთ, „ჰამლეტს“, „დარისპანის გასაჭირს“, ჯარისკაცს, სიყვარულს, დაცვის ბიჭს და პრეზიდენტს“. ასევე ნახავს მანანა ანასაშვილის დოკუმენტურ ფილმს „რობიკო სტურუას“.



გამოჩენილი რეჟისორის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ სტუმრები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან...

რის დადგმას ფიქრობს მომავალში რობერტ სტურუა? ამის თაობაზე იგი ამბობს: „რეპერტუარზე ცოტა მიჭირს საუბარი, რადგან საქართველოში დატრიალებული ამბები გარკვეულწილად გეზს უცვლის და მას გადახედვა სჭირდება. ამჟამად ვმუშაობ ინგლისელი დრამატურგის პიესაზე, იგი მხიარული კომედიაა, ცოტა პოლიტიკურიც არის, მისი მთავარი გმირი პარლამენტის წევრია და მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. ხალხი დათრგუნულია, ცუდია, როცა ადამიანი იმედს კარგავს და მინდა, რომ ვანუგეშო. პრემიერა ნოემბერში შედგება“.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

ინფორმაცია

## კვლავ იზრდება მეწყერის მსხვერპლი

**სოფელ ხალაში დავითაძეების ოჯახი გეოლოგიურმა სამსახურმა მოსალოდნელი მეწყერის შესახებ წინასწარ გააფრთხილა.**

გეოლოგიურმა სამსახურმა დავითაძეების ოჯახი მოსალოდნელი მეწყერის შესახებ წინასწარ გააფრთხილა და მათ სახლის დატოვება ურჩია, თუმცა დავითაძეებმა თხოვნა არ გაითვალისწინეს.

დამეწყრილი სოფელი აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა მოინახულა და დაზარალებულ სოფელს დახმარებას დაპირდა.

სოფელ ხალაში, რომელიც მეწყერსაშიშ ზონადაა ცნობილი, 10 ოჯახი ცხოვრობს. მიმდინარე წელს მეწყერის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ აჭარაში უკვე თერთმეტს მიაღწია.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში ჩამოწოლილი მეწყერის დროს დაკარგულია ხუთი ადამიანი.

## დევნილებს ბუნებაც ემუქრება

**შიდა ქართლში მოსულმა ძლიერმა ნალექმა, რუსული აგრესიის შედეგად დევნილი, გორში განთავსებულ კარვების ქალაქში მცხოვრები დევნილები დააზარალა.**

ძლიერმა წვიმამ კარვებში შეაღწია და დევნილების ნივთები და ლოგინი დაასველა.

ამასთან დაკავშირებით დაიწყო სადრენაჟო სისტემის დამონტაჟება, თუმცა დევნილები აცხადებენ, რომ სამუშაოები ძალიან ზედაპირულია და იგი უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.

უამინდობის გამო შეფერხებულია სოფელ შავშვებთან მიმდინარე დევნილთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც.

**ინტერპრესნიუსი**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ პოლიციის ყოფილი მუშაკი. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მოქმედებისათვის სხვადასხვა დროს სამჯერ ვარ დაჯილდოებული მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. გარდა ერთდროული დახმარებისა (პრემიის), ხომ არ ითვალისწინებს კანონი ამ შემთხვევაში რაიმე სხვა ჯილდოს?**

**ზურაბ კოტრიკაძე**

**პასუხი:** სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ, საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ სამჯერ დაჯილდოებულ პირს, გარდა ფულადი პრემიისა, გადაეცემა პრეზიდენტის სამახსოვრო საჩუქარი.



* * *

**კითხვა: ბევრჯერ გვსმენია, რომ არსებობს „ოქროს საწმისის“ ორდენი, მაგრამ არ წაგვიკითხავს პრესაში, რომ ქართველს მიეღოს იგი. იქნებ აგვიხსნათ, ვინ შეიძლება დაჯილდოვდეს ზემოაღნიშნული ორდენით?**

**ლამზირა გიგინეიშვილი**

**პასუხი:** ოქროს საწმისის ორდენით ჯილდოვდებიან მხოლოდ უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული უშიშროების ინტერესების, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, უცხოეთის სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში.

* * *

**კითხვა: საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში, ვის გადაეცემა ერთდროული ფულადი პრემია და რომელი კანონით განსაზღვრული წესით?**

**ლევან კილაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ერთდროული ფულადი პრემია გადაეცემა დაჯილდოებული პირის მემკვიდრეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**დარეჯან, გიორგი, მიხეილ დუნდუები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ვახტანგ კირცხალია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს.**

---

**და ლუიზა კირცხალია, სიძე გრიგოლ (მერვედ) კუპარავა, დისშვილები კახა, თეა კუპარავები, რძალი მარინა დუნდუა, დისშვილიშვილი გიგი კუპარავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ვახტანგ კირცხალია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.**

---

**მარინა კანდელაკი სამძიმარს უცხადებს ლუიზა და გრიგოლ (მერვედ) კუპარავებსა და მათი ოჯახის წევრებს ძმის**

**ვახტანგ კირცხალიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მეუღლე ნინო კაპანაძე, შვილები გიორგი, მარიამ პაპიძეები, დები რუსუდან, მანია პაპიძეები, სიძე თენგიზ ბუხრაშვილი, ცოლისდები ნანული, ნათელა, ცოლისძმები ლევან, მერაბ, გიორგი კაპანაძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



**ვლადიმერ (რიეგოძ) ვლადიმერის ძე პაპიძე**

**პანაშვიდი 30 IX, 1 X, 16 სთ. გამოსვენება 2 X, 11 სთ. გლდანის მე-6 მ/რნ, მე-8 კორპ. I სადარბაზო, ბინა 15. დაკრძალვა 4 X, 14 სთ. ჭიათურის რ-ნი, სოფ. ქვედა უსახელო.**

---

**ენგურჰესის სამეთვალყურეო საბჭო და მთელი კოლექტივი სამძიმარს უცხადებს იზა და ლევან მებონიებს საყვარელი ძმის**

**ფრიდონ მიქავას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ლამარა და ვალერი კანკიები ოჯახით სამძიმარს უცხადებენ იზა და ლევან მებონიებს ძმის**

**ფრიდონ მიქავას**

**გარდაცვალების გამო.**

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**98-65-87; 899 32-85-76.**

იცოდით?

# „წინსვლა“ 50-50-თეთრობით

**რა თქმა უნდა, იცოდით, რომ ბანკში სინათლის ფულის გადახდისას „სამადლარიჩო“ უნდა დასდოთ 50 თეთრი. ეგებ ჯერ არ იცოდეთ, რომ გაზის გადასახადსაც „აადევნეს“ საურავი 50 თეთრი.**



ახლა მოუთმენლად ველი იმ დროს, როცა „თბილისის წყალი“ და „დასუფთავების მოსაკრებელიც“ შემაწერს 50-50 თეთრს და ტელეფონსაც თუ გავიხსენებთ, ყოველთვიური კომუნალური გადასახადი დამატებით იახლებს ორლარნახევარს. მაშ, როგორ, საზღვარგარეთ ხელისუფალთა გრიალი ხარჯებს ხომ მოითხოვს (თან არცთუ ცოტასძ და საკუთარი ჯიბიდან ხომ არ დაფარავენ (დიდი ხელფასების მიუხედავადძ!

კიდევ ერთი: ეს ჩვენი ბანკები მომხმარებელთ ზოგჯერ კომფორტის ნაცვლად დისკომფორტს რატომ უქმნიდნენ! სამი დღე დავდიოდი გადასახადის შესატანად და მხოლოდ მესამე ცდისას შევძელი, ისიც წვალებით: ვდგავარ რიგში, წინ 5-6 კაცია, უკან 10-12, ვდგავარ ოსთეოქონდროსანი ზერიკაცი, დიდხანს რომ „შვეულად“ ვერ ვძლებ (მე შენ გეტყვი და, სკამები გვეგულება ახლოსძ და ამ დროს, გადასახადთა „ამკრეფი“ ახალგაზრდა ქალბატონი წყვეტს ოპერაციებს – საქმეზე უნდა გავიდეო ( შესვენებამდე კაი შორი იყოძ. ასეთი შემთხვევისთვის შემცვლელი არ უნდა ჰყავდეთ?..

მხოლოდ ნახევარ საათში მობრუნდა. იძულებული ვარ, „ჩავუშვა“: დღე – ხუთშაბათი, რიცხვი – 25 სექტემბერი, საათი – 11 (დილისა, ცხადიაძ, ადგილი – სახალხო ბანკის ფილიალი დიღმის მასივში, მაიაკოვსკის ძეგლთან.

... კონსტანტინე ბატონი იტყოდა – ეს ამბავიც ავაზას დღეს მოხდაო...

**თამაზ ეზანოიძე**

ინფორმაცია

# „ყაზტრანსგაზი“ თბილისელებს ძარცვავს

**„როგორც გუშინ გამართულ საპროტესტო აქცია-ბრიფინგზე „ლეიბორისტული პარტიის“ აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ბეჟანიშვილის „ა“ და „ბ“ კორპუსის მაცხოვრებლებს გაზის მრიცხველის საკუთარი სახსრებით შეცვლას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი 800-ლარიანი ჯარიმით ემუქრება.**

როგორც ჯიბლაძე აღნიშნავს, მრიცხველის ღირებულება 125 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, მისი თქმით, იგივე პრობლემა გააჩნიათ ხორნაბუჯის ქუჩის №47-ის „ა“ და „ბ“ კორპუსის მაცხოვრებლებს.

– უნდა დასრულდეს დედაქალაქის მოსახლეობის ძარცვა, რომელსაც სხვადასხვა კომპანიები ხელისუფლების ხელშეწყობით ახორციელებენ, – აღნიშნა ჯიბლაძემ.

მისი თქმით, თუ „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მსგავს ქმედებებს მომავალშიც გააგრძელებს, „ლეიბორისტული პარტია“ გაცილებით მკაცრ საპროტესტო ზომებს მიმართავს, მაგალითად „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ შენობების ბლოკირებას და საპროტესტო აქციებს.

**ინტერპრესნიუსი**

უახლესი ტექნოლოგიები

ჰაილიში



ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ვიტრინა მაცივარი და მინი ბარი სასმელების, რძის პროდუქტების, მედიცინაში წამლების შენახვა-რეკლამირებისთვის

ევრო სტანდარტი
სრული კომპლექტაცია



| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება |
|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | |
| SC-110C | 558 | 660 | 883 | 0.7კვ/24სთ-ში |
| SC-348LP | 640 | 625 | 2000 | 1.8კვ/24სთ-ში |
| SC-448LP | 585 | 620 | 1755 | 2.5კვ/24სთ-ში |
| SC-648L | 900 | 580 | 1905 | 2.5კვ/24სთ-ში |

მისაღები ფასები + საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)
ტელ: 35-50-20. 35-60-78
ელ-ფოსტა: tsikara2005@mail.ru; tsikara2005@yahoo.com

დაზუსტება

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 24-25 სექტემბრის ნომრებში დაბეჭდილ ახმედ ზაკაევის ინტერვიუს მითითებული აქვს, რომ ინტერვიუერი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ყოფილი პრემიერ-მინისტრია. დავაზუსტებთ, რომ ბატონი ახმედ ზაკაევი იყო და დღესაც არის ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრემიერ-მინისტრი.**

ანეკდოტები

**– ჩემი ცოლი სახლში პრეზიდენტივით უნდა იყოს!**

**– როგორ, ყველაზე მთავარი?**

**–არა, რათა ყოველ ოთხ წელიწადში შემეძლოს ახლის არჩევა!**

* * *

**– მიხო, რა დაგემართა?**

**– თავს დამესხნენ, მცემეს, ფული წამართვეს!**

**– დაიმახსოვრე მაინც, ვინ იყვნენ?**

**– ცოლს რა დამახსოვრება უნდა?!**



* * *

**ყაზარმაში შერბის განრისხებული კაპიტანი.**

**– რომელმა ყეყეჩმა უთხრა ჩემს ცოლს, რომ სამხრეებზე ყოველი ვარსკვლავი ერთ ბავშვს ნიშნავს?!**

* * *

**– სამუშაო ფული კი არაა, რომ შემოგელიოს!**

* * *

**– ნახე, მიხო, ბულბული როგორ გალობს, – ეუბნება ცოლი ქმარს.**

**– რა გიკვირს? ცოლი მაგას არ ჰყავს, ვალები არა აქვს, კბილები არ სტკივა. რატომ არ იმღერებს?**

* * *

**ალფრედ ნობელი დინამიტის პირველ გამომგონებლად იმიტომ აღიარეს, რომ დანარჩენები ვერ ამოიცნეს.**

* * *

**მიხო ექიმთან მიდის ანალიზების პასუხის გასაგებად.**

**– თქვენს სისხლში 98 პროცენტი ალკოჰოლია! – ეუბნება ექიმი.**

**– 98 პროცენტი! აკი ვამბობდი, არაყს ლიმონათს არ დავაყოლებ-მეთქი!**

* * *

**ყველა იმ ადამიანისგან, ვინც გვიმტკიცებდა, რომ ღმერთი იყო, მხოლოდ ერთი გამოდგა მართალი.**

* * *

**– ფულს ვაგროვებდი, მინდოდა ქობულეთში სახლი მეყიდა, მაგრამ არ მეყო და იძულებული გავხდი, ვილა მეყიდა ესპანეთში.**

* * *

**– ქალიშვილო, შეიძლება, არ გაგეცნო?!**

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.